საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით

ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა

მარინე კვაჭაძე
ეკატერინე გასიტაშვილი
კობა ბოჭორიშვილი
ირაკლი კორძახია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით

ევროკავშირის პროექტი კანონის უზენაესობის მხარდაჭერა

პუბლიკაცია ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ადვოკათთა ასოციაცია. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას

მარინე კვაჭაძე
ეკატერინე გასიტაშვილი
კობა ბოჭორიშვილი
ირაკლი კორძახია

25.11.2011

სარჩევი

შესავალი	4
თავი I. ადვოკატის დამოუკიდებლობა	5
თავი II ნდობის პრინციპი	8
თავი III პროფესიული საიდუმლოება	11
თავი IV კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა	14
თავი V ინტერესთა კონფლიქტი	19
თავი VI – კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის რეგულირება	27
ა) მომსახურების დაწყება	27
ბ) მომსახურების შეწყვეტა	28
გ) ადვოკატის ანაზღაურების რეგულირება	30
დ) კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება	32
ე) დავის მინიმალური დანახარჯით დასრულების ვალდებულება	34
ვ) კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება	35
თავი VII – ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან და მსგავსი ფუნქციის ორგანოებთან.	38
თავი VIII – ადვოკატებს შორის ურთიერთობა	46
ა) ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის ვალდებულება	46
ბ) გასამრჯელო რეკომენდაციისთვის	47
გ) ინფორმაციის კოლეგისთვის მიწოდების ვალდებულება	48
თავიIX – ზნეობრივი პრინციპები	49

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ავტორთა მცდელობას წარმოადგინოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზი მისი შექმნიდან – 2006 წლიდან 2011 წლის ნოემბრამდე პერიოდისთვის. ამ პერიოდში ეთიკის კომისიამ მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილეება, რომლებშიც განმარტებულია საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, რომელთა უმეტესობაც ზოგადი ხასიათის არის. ნორმების განმარტებისას ეთიკის კომისია ძირითადად ეყრდნობა გაეროს ძირითად პრინციპებს ადვოკატთა როლის შესახებ, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ძალაში დარჩა ეთიკის კომისიის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეთიკის კომისიის პრაქტიკა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს. ავტორები წარმოადგენენ ეთიკის კომისიის მოქმედ წევრებს და მონაწილეობა აქვთ მიღებული მრავალი გადაწ-ყვეტილების მიღებაში.

ტექსტი აგებულია შემდეგნაირად: მუხლობრივი სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს ადვოკატთა ქცევის ეთიკის კოდექსს, ხოლო კონკრეტული მუხლის განხილვისას:

- ჯერ მოცემულია გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (თუ არსებობს შესაბამისი რეგულირება);
- შემდეგ მოცემულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ;
- შემდეგ CCBE–სმიერ მიღებული ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის რეგულირება რომლის წევრია დამკვირვებელის სტატუსით საქართველოს ადვოკატთა გაერთიანება ;
- ასევე მოცემულია ინფორმაცია ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, შესაბამის საკითხზე;
- და ბოლოს, მოცემულია საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მოთხოვნები და ზემოაღნიშნული რეგულირების განმარტება ეთიკის კომისიის პრაქტიკაში. იმ შემთხვევაში, თუ კოდექსის რომელიმე მუხლზე ჯერ არ არსებობს ეთიკის კომისიის პრაქტიკა, ეს მუხლი გამოტოვებულია ტექსტში.

თავი I. ადვოკატის დამოუკიდებლობა

ადვოკატის დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის ძირითადი ელემენტია.[1] ამიტომ ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპს დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში. ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა თავის მხრივ ნდობისა, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვის გარანტიაა.

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ

დამოუკიდებლობის საკითხი გაეროს პრინციპების რამდენიმე თავშია განხილული. კერძოდ, ადვოკატის საქმიანობის გარანტიებში მითითებულია, რომ ის თავისუფალია და დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ადვოკატი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის, საერთაშორისო ნორმებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

გაეროს პრინციპებში საუბარია გაეროს წევრ-სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, დაიცვან და შექმნან ქმედითი მექანიზმები ადვოკატის დამოუკიდებლობის დასაცავად. „ადვოკატი უნდა სარგებლობდეს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტით ყველა განცხადების მიმართ, რომელიც მის მიერ სასამართლოს, ტრიბუნალის ან სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე წარდგენილია კეთილი განზრახვით, ზეპირი ან წერილობითი ფორმით“.[2] სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ *„ადვოკატმა თავისი ვალდებულებები შეასრულოს დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე “.*[3]

სახელმწიფომ ადვოკატებს თავისი ვალდებულებების განსახორციელებლად უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მათ *„ა)შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე; ბ) შეძლონ თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ; და გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა საქნციების მიხედვით“.*[4]

ადვოკატი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით, *„იმოქმედოს თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად“.* [5]

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2000) 21

ევროპის საბჭოს რეკომედაციის მიხედვით, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს *„დამოუკიდებლად, გულდასმით და სამართლიანად“* და *ეყრდნობოდეს*

1. შ.ტრეექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი 2009
2. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ. მუხლი 22. პუნქტი 20.
3. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ. მუხლი 16. „ა“პ.
4. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ. მუხლი 16.
5. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ. მუხლი 14

პროფესიული გაერთიანებების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და ქცევის კოდექსს.[6] ისევე როგორც გაეროს ძირითადი პრინციპები, ევროპის საბჭოს რეკომენდაციაც მიუთითებს, რომ „ადვოკატს არ უნდა დაეკისროს ან დაემუქრონ რაიმე სახის სანქციით ან ზეწოლით, როდესაც ისინი თავისი პროფესიული სატნდარტების შესაბამისად მოქმედებენ“.[7]

3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

აღნიშნული დოკუმენტი ცალკე თავად გამოყოფს ადვოკატის დამოუკიდებლობის საკითხს. ადვოკატის პროფესია მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან. ევროგაერთიანების კოდექსში პირდაპირ არის მითითებული ორი სახის გავლენაზე: „გავლენა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი ინტერესებიდან“ და გავლენა „გარეშე ზეწოლისაგან“8. დოკუმენტში განმარტებულია: „ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევას ფასი არ აქვს თუ მისი მიზანია ადვოკატის დაფასება, მის პირად ინტერესებს ემსახურება ან გარეშე ზეწოლის შედეგად განხორციელდება“.[9]

უნივერსალური და რეგიონალური ორგანიზაციების დოკუმენტებში ადვოკატის დამოუკიდებლობა ძირითადად აღიქმება როგორც დამოუკიდებლობა სახელმწიფოს ზემოქმედებიდან.

კლიენტის მიმართ ერთგულების ვალდებულება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტია. ადვოკატი ვალდებულია კლიენტი უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, ადვოკატი თვისი კლიენტის სახელით უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას. „პროფესიული ქცევის წესებისა და კანონების პირნათლად დაცვით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესები პირადი ან იურიდიული პროფესიის წევრების ინტერესების წინ დააყენოს“.[10]

4. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი

ადვოკატის პროფესია თავისუფალ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება. ადვოკატი მხოლოდ კანონს და პროფესიულ ეთიკის ნორმებს ემორჩილება. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი დამოუკიდებლობას ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებს[11]. საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამოთვლისას, დამოუკიდებლობაზე მითითება ორ სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება: საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა[12] და საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა13, რომელიც ადვოკატის მიერ თავისი საქმიანობის დამოუკიდებლად და სხვისაგან ჩაურველად განხორციელებას გულისხმობს.

ადვოკატის დაცვის გარანტიები აღიარებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით. ადვოკატი თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია. ამგვარი გარანტიები პირველ რიგში კლიენტის ინტერესების დაცვას და მართლმსაჯულების განხორციელებას ემსახურება, მაგრამ ამავდროულად იცავს ადვოკატს, რომელიც არ მოექცევა ზეწოლის ქვეშ და არ მისცემს ჩვენებას საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ.

ნდობის პრინციპის დაცვის გარანტია ადვოკატის დამოუკიდებლობაა. კლიენტი ადვოკატს ანდობს ნებისმიერი ინფორმაციას იმ იმედით, რომ ის არ გახდება ცნობილი მისი ნების საწინააღმდეგოდ მესამე პირთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დარღვეული იქნება როგორც კონფიდენციალურობის, ისე დამოუკიდებლობის პრინციპები.

6. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია REC. (2000) 21. პრინციპი III. პუნქტი 1.
7. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია REC. (2000) 21. პრინციპი I. პუნქტი 4.
8. ევროგაერთიანების ქცევის კოდექსი. პრინციპი 2.1.1.
9. ევროგაერთიანების ქცევის კოდექსი. პრინციპი 2.1.2.
10. ევროგაერთიანების ქცევის კოდექსი. პრინციპი 2.7.
11. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 1.
12. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 3. „ბ“პ.
13. „ადვოკატთა შესახებ „საქართველოს კანონი მუხლი 3. „დ“პ.

დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. [14]

ადვოკატის თვისუფლება განხილული უნდა იქნეს, როგორც კანონით დაცული და გარანტირებული ღირებულება. აღნიშნული დებულება გულისხმობს, რომ ერთის მხრივ, ადვოკატი ვალდებულია დაემორჩილოს კანონს და კეთილსინდისიერად დაიცვას კლიენტის ინტერესები, მეორეს მხრივ, თავად იყოს დაცული, რათა ვერავინ შეძლოს მის საქმიანობაში ჩარევა და მისი თავისუფლების შეზღუდვა.

5. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ადვოკატის თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარანტირებულია ადვოკატთა ეთიკის კოდექსით. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.[15]

6. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

6.1. ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის 22 იანვარს განხილულ საქმეში N 001/10 აღინიშნა, რომ სახაზინო ადვოკატმა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთმა სრულწლოვანმა ეჭვმიტანილმა უარი განაცხადა მის მომსახურებაზე; ადვოკატის ეს მოქმედება წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას. სახაზინო ადვოკატმა იძულებითი დაცვით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები.

კომისიის აზრით, ადვოკატმა საპროცესო მოქმედებების განხორციელების დროს არ განუმარტა დაცვის ქვეშ მყოფ პირს მისი უფლებების შესახებ, *„მისი პოზიცია იყო მოკრძალებული და არა-ეფექტური, გარკვეულწილად მოქცეული იყო პროკურორის ზეგავლენის ქვეშ. ადვოკატმა ხელი მოაწერა ამოცნობის ოქმს იმ მიზეზით, რომ პრობლემები არ შექმნოდა“.*

კომისია მიუთითებს, რომ *„მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებებში სახეზეა არა იმდენად დის-ციპლინური გადაცდომა, რამდენადაც ადვოკატის მიერ მისი პროფესიული მოვალეობების სუსტი შესრულება. ადვოკატის ზემოაღწერილ ქმედებებში შეინიშნება დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა“.*

6.2. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს განიხილა საქმე N057/10, რომელშიც აღნიშნა, რომ *„ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისაგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ ადვოკატმა პროკურატურის მიერ განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობა კლიენტისათვის შეუტყობინებლად და მისი თანხმობის გარეშე მიიღო.“*

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში“.

14. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 38.4 პ.

15. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი . მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი.

თავი II ნდობის პრინციპი

1. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

კოდექსი ზოგად პრინციპებს შორის ასახელებს ნდობას და შეუვალობას და განმარტავს, რომ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება და შეუვალობა ეჭვგარეშეა. ადვოკატისათვის აღნიშნული ტრადიციული თვისებები პროფესიული ვალდებულებაა.[16] ამ ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, ნდობის არსებობისათვის ადვოკატის პირადი ღირსებები არის განმსაზღვრელი, რაც იმავდროულად მისი პროფესიული ვალდებულებაცაა. კოდექსის პრეამბულაში საზოგადოებაში ადვოკატის ფუნქციის განსაზღვრისას, მითითებულია, რომ ადვოკატს მთელ რიგ იურიდიულ და მორალურ ვალდებულებებს აკისრებს მისი პროფესია[17]. ამ ვალდებულებათა შორის უდავოდ უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის პრინციპს კოდექსი გარკვეულწილად უკავშირებს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის განდობილი ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ისეთი ინფორმაცის განდობა, რომელსაც კლიენტი სხვა პირს არ გაანდობდა, ეფუძნება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობას, რომლის არსებობა შეუძლებელია კონფიდენციალობის დაცვის გარანტიის გარეშე.[18]

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ნდობის პრინციპი იმდენად მნიშვნელოვანი ფასეულობაა, რომ კოდექსი ადვოკატის კლიენტებს შორის ნდობის დარღვევის შემთხვევაში, ავალდებულებს ადვოკატს შეწყვიტოს კლიენტების სახელით საქმიანობა.[19] ასეთივე იმპერატიულია კოდექსი, როდესაც ადვოკატისაგან ითხოვს ახალი კლიენტის სახელით საქმიანობისაგან თავის შეკავებას, თუ არსებობს ადვოკატისადმი ყოფილი კლიენტის ნდობის დარღვევის რისკი.[20]

2. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

2.1. პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები, სხვათა შორის, ამკვიდრებს ადვოკატის ვალდებულებას იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.[21] პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ნდობის პრინციპი.[22] ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის შესაბამის რეგულაციას ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიღებული პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომლის თანახმად ადვოკატის პირად თვისებებზე - ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა-არის დაფუძნებული კლიენტის ნდობა ადვოკატისადმი. პასუხისმგებლობის ტვირთი ადვოკატზეა, რომელმაც არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. ის თვისებები, რომელთა გამოც

16. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - 2. ზოგადი პრინციპები, მუხლი 2.2.
17. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - 1 პრეამბულა, მუხლი 1.1.
18. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - 2. ზოგადი პრინციპები, მუხლი2.3.1
19. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - 3. კლიენტთან ურთიერთობა, მუხლი3.2., პუნქტი 3.2.2.
20. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - 3. კლიენტთან ურთიერთობა, მუხლი3.2., პუნქტი3.2.3.
21. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - პრეამბულა.
22. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - მუხლი 1

კლიენტი ადვოკატს ენდობა, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.23 ეთიკის კოდექსში, ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მსგავსად, ნდობისა და ინტერესთა კონფლიქტების პრინციპების გადაკვეთაც ხდება, როდესაც ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც ადვოკატი წარმოადგენდა, თუკი კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტის გამო არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის საფრთხე.[24]

3. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

3.1. ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიხედვით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში, ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპის დარღვევა ან ნდობის დარღვევის საფრთხე უკავშირდება კონფიდენციალობის, ინტერესთა კონფლიქტის და კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის საკითხებს.

3.2. ეთიკის კომისიის 2010 წლი 11 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე N 001/10 დადგინდა ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპის დარღვევა, ადვოკატის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპებთან ერთად. ეთიკის კომისიამ აღნიშნა: *„ის გარემოება, რომ სახაზინო ადვოკატმა მიიღო საპროცესო ღონისძიებაში მონაწილეობა იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთმა სრულწლოვანმა ეჭვმიტანილმა უარი განაცხადა მის მომსახურებაზე, წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას. სსსკ-ის 73-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად, ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს უფლება აქვთ თავად შეარჩიონ დამცველი და უარი თქვან შერჩეულ დამცველზე. სახაზინო ადვოკატმა იძულებითი დაცვით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები".*

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქმეზე N 057/10 მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია მისდამი კლიენტის ნდობის პრინციპი, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კლიენტისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდების ვალდებულებებთან ერთად. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ *„ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ. კლიენტი ენდობა ადვოკატს და ადვოკატმა უნდა გაამართლოს ეს ნდობა".*

3.3. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე N 015/10 დაადგინა, რომ ადვოკატის კლიენტებს შორის წარმოქმნილმა ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვია ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დაკარგვა. ეთიკის კომისიამ ჩათვლა, რომ სისხლის სამართლის საქმეში, კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, *„თუ ერთ-ერთი კლიენტი საქმის მსვლელობის პროცესში ადანაშაულებს სხვა კლიენტს, ან მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სხვა კლიენტების მიერ წარმოდგენილ გარემოებებს. შესაბამისად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი იმ მომენტიდან, როდესაც მისი კლიენტების ჩვენებები ერთმანეთს არ დაემთხვა და მათ ერთმანეთი დაადანაშაულეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში".*

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ *„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის პრინციპის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის*

---

23. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - მუხლი 3
24. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - მუხლი 6.4.

საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებული იყო შეეწყვიტა სამივე კლიენტის დაცვის განხორციელება, რადგან მათ მიერ განსხვავებული ჩვენებების მიცემამდე იგი წარმოადგენდა სამივე განსასჯელს და ფლობდა სამივე მათგანისაგან მიღებულ ინფორმაციას".

მოცემულ შემთხვევაში კლიენტმა დაკარგა ადვოკატისადმი ნდობა: *„წარმოიშვა ადვოკატის მიერ კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის პრინციპის ხელყოფის საფრთხე და შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს გამოეყენებინა დარჩენილი კლიენტის სასარგებლოდ ან სხვების საზიანოდ. შესაბამისად, ადვოკატს გააჩნდა ვალდებულება შეეწყვიტა სამივე კლიენტის წარმომადგენლობა".*

3.4. ეთიკის კომისიის 2010 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N 063/10 დადასტურებულად არ იქნა მიჩნეული ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის, კერძოდ, ნდობის პრინციპის დარღვევა. განმცხადებლის პრეტენზია ადვოკატისადმი გამოიხატა იმაში, რომ კლიენტის მოსაზრებით მისი ადვოკატი არ ახორციელებდა კვალიფიციურ წარმომადგენლობას, რაც გამოიხატა მის მიერ კლიენტის ინტერესების შესაბამისი შუამდგომლობების წარუდგენლობაში. კერძოდ, ადვოკატმა სასამართლო პროცესზე არ მოითხოვა სადავო ბინისთვის ყადაღის დადება, რის შედეგადაც ბინა გაიყიდა და შესაბამისად, განმცხადებელს მიადგა მატერიალური ზიანი. განმცხადებლის მოსაზრებით, ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რითაც მან დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და ნდობის პრინციპები. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად გასწია წარმომადგენლობა, ყველა სამართლებრივი საშუალება გამოიყენა კლიენტის ინტერესების დასაცავად, კერძოდ, მან უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ბინაზე ყადაღის დადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს, მაგრამ სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა. აღნიშნული განჩინება ად ვოკატმა გაასაჩივრა კერძო საჩივრით. ამ საქმეზე არ დადასტურდა არც ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ან ასეთის წარმოშობის საფრთხე, არც ადვოკატის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რასაც შეეძლო კლიენტის უნდობლობა გამოეწვია.

თავი III პროფესიული საიდუმლოება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ

გაეროს პრინციპებით დაცული კონფიდენციალობის ვალდებულება რამდენიმე ასპექტში უნდა განვიხილოთ:

- ზოგადი დებულება, როგორც იურიდიული დახმარებისა და ადვოკატთან ურთიერთობისას დამკვიდრებული სტანდარტული წესის დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს მიერ;[25]
- სპეციალური გარანტიების სახით, სისხლის სამართალწარმოებაში სახელმწიფოსათვის დადგენილი მოვალეობა უზრუნველჰყოს თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ადვოკატთან კომუნიკაცია და კონსულტაცია სრული კონფიდენციალობის დაცვით;[26]
- სახელმწიფოს მიერ აღიარებული გარანტია, ადვოკატის საქმიანობის დროს ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის ყველა კომუნიკაციისა და კონსულტაციის კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე;[27]

ადვოკატის მოვალეობაა იმოქმედოს თავისუფლად, ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად;[28] გაეროს პრინციპებით ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა, სახელმწიფოს ვალდებულებად განიხილება, ასეთივე ვალდებულება აკისრიათ ადვოკატებს ეროვნული კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსით.

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21

ადვოკატის პროფესიის თავისუფლების ძირითადი პრინციპებით ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონფიდენციალურობის პატივისცემა.[29] ადვოკატის მოვალეობაა პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას ეროვნული კანონმდებლობის, დებულებებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული საიდუმლოების ნემისმიერი სახის დარღვევა კლიენტის თანხმობის გარეშე, უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის სანქციებს.[30] რეკომენდაციაში კონფიდენციალურობისა და პროფესიული საიდუმლოების ცნებები გაიგივებულია.

3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

3.1. კოდექსით ადვოკატის ძირითად ფუნქციად განიხილება კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ევროპული სტანდარტი ერთმანეთს უკავშირებს კონფიდენციალობისა და ნდობის პრინციპებს, კონფიდენციალობას განიხილავს, როგორც ადვოკატის უპირველეს ფუნდამენტურ უფლებასა და მოვალეობას. კონფიდენციალობისა და ნდობის პრინციპები ერთგვარად თანაარსებობენ, რომ არა ადვოკატის მოვალეობა კლიენტის წინაშე, უზრუნველჰყოს მისგან

25. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ - პრეამბულა
26. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ - სპეციალური გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში - პუნქტი 8.
27. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ - ადვოკატის საქმიანობის გარანტიები - პუნქტი 22
28. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ - მოვალეობები და პასუხისმგებლობები - პუნქტი 14
29. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 – პრინციპი I, პუნქტი 6.
30. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 – პრინციპი III, პუნქტი 2.

მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, კლიენტი არც გაანდობდა მას ამ ინფორმაციას, მით უფრო, რომ ეს ისეთი ინფორმაციაა, რომელსაც კლიენტი სხვა პირს არ გაანდობდა. ევროპული სტანდარტი ადვოკატის კონფიდენციალურობის ვალდებულებას განიხილავს ორმხრივ ინტერესად - მართლმსაჯულების განხორციელებისა და კლიენტის ინტერესების მიზნებისათვის და ადგენს, რომ მას განსაკუთრებული დაცვა ეკუთვნის სახელმწიფოსაგან.[31]

3.2. ადვოკატს ევალება პატივის სცეს იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის მისი პროფესიული საქმიანობისას გახდა ცნობილი.[32] ადვოკატის ვალდებულება კონფიდენციალობაზე დროში შეზღუდული არ არის.[33] კონფიდენციალობის დაუცველობა, რამაც შედეგად კლიენტის ნდობა შეარყია, წარმოქმნა ინტერესთა კონფლიქტი ან ასეთი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე. შეიძლება გახდეს ადვოკატისადმი კლიენტის პრეტენზიის საგანი.

3.3. პროფესიული საქმიანობისას ადვოკატს ევალება უზურნველჰყოს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვა და მისგან მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურად შეინახოს, ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ არიან დაქირავებული, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის იგივე ვალდებულების შესრულება.[34]

3.4. ევროპული სტანდარტით ადვოკატი უფლებამოსილია პირადი საჯაროობის ფარგლებში, საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით.[35]

4. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი კონფიდენციალურობის იდენტურად იყენებს პროფესიული საიდუმლოების ცნებას, საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის ადგენს და ადვოკატის მოვალეობად განიხილავს პროფესიული საიდუმლოების დაცვას.[36] პროფესიული საიდუმლოების დაცვის შესახებ კანონის ნორმა უთითებს, რომ გასული დროის მიუხედავად, ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა; მას ევალება საქმიანობის პროცესში კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის გაუვრცელებლობა და ასეთი ინფრომაციის გავრცელება შეუძლია მხოლოდ კლიენტის თანხმობით; პროფესიული საიდუმლოების მოვალეობის დაუცველობა ექვემდებარება სპეციალური კანონითა და პროფესიული ეთიკის საფუძველზე განსჯას და პასუხისმგებლობას.[37]

5. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

5.1. ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს კონფიდენციალობის პრინციპით, რომელიც პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპთა შორის არის მითითებული.[38] კოდექსი ადგენს, რომ ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია და კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. კოდექსით ადვოკატს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება გაამჟღავნოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია, თუ არსებობს კლიენტის თანხმობა; ადვოკატს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია კლიენტის ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც ეს აუცილებელია ადვოკატის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად ან კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში.[39]

---

31. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - ზოგადი პრინციპები, მუხლი 2.3., პუნქტი 2.3.1.
32. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - ზოგადი პრინციპები, მუხლი 2.3., პუნქტი 2.3.2.
33. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - ზოგადი პრინციპები, მუხლი 2.3., პუნქტი 2.3.3
34. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - ზოგადი პრინციპები, მუხლი 2.3., პუნქტი 2.3.4.
35. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი - ზოგადი პრინციპები, მუხლი 2.6., პუნქტი 2.6.1.
36. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, ქვეპუნქტი (ზ), მუხლი 5, ქვეპუნქტი (დ)
37. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7
38. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 1
39. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4, პუნქტები 1,2.

5.2. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის რეგულაციის მსგავსად, ადვოკატმა საკუთარ პარტნიორებს, თანამშრომლებსა და მის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოწვეულ ყველა სხვა პირს, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის იგივე ვალდებულების შესრულება.[40]

5.3. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობას უკავშირდება ადვოკატის ვალდებულება დაიცვას კონფიდენციალობა, კერძოდ, ადვოკატი ვალდებული შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, თუკი წარმოიქმნა კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.[41]

6.ეთიკის კომისიის პრაქტიკა

6.1. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე N 029/11 მიიჩნია, რომ ადვოკატის ახსნა-განმარტებებში კლიენტის მიმართ *„გაკეთებულია ისეთი შეფასებები, რომლებიც არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს, ვინაიდან იგი მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც... კლიენტის „კლასიკურ თაღლითად“ მოხსენიება, ასევე მასთან დაკავშირებული პირებისათვის დანაშაულში ბრალის დადება, არ არის კავშირში ადვოკატის მიერ დაცვის განხორციელების შეწყვეტის თაობაზე, კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თავის მართლებასთან“.*

6.2. ეთიკის კომისიის მიერ განხილულ საქმეზე # 086/10 განმცხადებლის პრეტენზია შეეხებოდა იმას, რომ მისი და მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატები ერთ საადვოკატო ბიუროში მუშაობდნენ და ერთმანეთს გაუცვალეს კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ საქმეზე 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კლიენტის პრეტენზია ადვოკატისადმი იყო დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო. ეთიკის კომისიამ განმარტა: *„ადვოკატს გააჩნია ვალდებულება დაიცვას კლიენტის ინტერესები და განახორციელოს წარმომადგენლობა მისთვის რწმუნებულებით მინიჭებული ვადით, ხოლო რწმუნებულების ვადის გასვლის შემდგომ, თუ კლიენტმა ახალი რწმუნებულების საფუძველზე არ განაახლა მასთან სამართლებრივი ურთიერთობა, ადვოკატს შეუძლია ივარაუდოს, რომ აღარ ახორციელებს წარმომადგენლობას... ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალება, კერძოდ, შეადგინა სარჩელი და სასამართლოში განახორციელა წარმომადგენლობა“.* კლიენტის პრეტენზია კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევისა და სარჩელის საფუძვლის შეცვლის შესახებ, არ დადასტურდა შესაბამისი მტკიცებულებებით. *„მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ ადვოკატები ერთ შენობაში მუშაობდნენ, არ შეიძლება განხილული იქნეს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევად“.*

40. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4, პუნქტი 3
41. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი 4

თავი IV კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ

გაეროს პრინციპების მიხედვით კლიენტის წინაშე ადვოკატთა მოვალეობაა: დაეხმარონ კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღონ ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად[42], ასევე ადვოკატებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ თავიანთი კლიენტის ინტერესებს[43]. ხსნებული პრინციპების საფუძველზე, კლიენტის ინტერესების დაცვისას, ადვოკატებმა უნდა შეძლონ თავიანთ კლიენტებს კონსულტაცია და დახმარება უნდა გაუწიონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების დაცვით[44].

2. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კლიენტის ინტერესები, როგორც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ამოსავალი წერტილი. კოდექსი საზოგადოებაში ადვოკატის ფუნქციის განმარტებისას განსაზღვრავს, რომ „ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობის ინტერესებს და მათ, ვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება აქვს დაკისრებული. გარდა ამისა, ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულია იყოს კლიენტის მრჩეველიც“[45]. კლიენტის ინტერესების პატივისცემა ადვოკატის ვალდებულებაა, თუმცა, პროფესიული საქმიანობისათვის ერთ-ერთი ძირითადი და განმსაზღვრელი პრინციპია ადვოკატის დამოუკიდებლობა. კოდექსი ადვოკატზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის საგანგებოდ უთითებს ადვოკატის სრული დამოუკიდებლობის, ყოველგვარი გარეშე ზეგავლენისაგან თავისუფლების პრინციპს, „აქედან გამომდინარე, ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს მისი თავისუფლების ნებისმიერი სახით მიკერძოება და გაუფრთხილდეს მისი პროფესიული სტანდარტების კომპრომეტირებას, რადგან ასიამოვნოს კლიენტი...“[46] .

კოდექსი სპეციალურ ნორმას უძღვნის კლიენტის ინტერესებს: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესები პირადი ან იურიდიული პროფესიის წევრების ინტერესების წინ დააყენოს“[47].

3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21

რეკომენდაცია სხვა პრინციპებს შორის, ადვოკატის როლისა და მოვალეობების განსაზღვრისას უთითებს ადვოკატების ვალდებულებაზე, ყველა სამართლებრივი ქმედებები განახორციელონ თავიანთი კლიენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, პატივისცემისა და რეალიზაციის მიზნით.[48]

ხსენებული ნორმა ზოგადი ხასიათისაა, თუმცა, ადვოკატის როლი და მოვალეობები უფრო დაკონკრეტებულია და იმპერატიულად არის დადგენილი, რომ ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისაგან ნებისმიერი სახით თავის შეკავებამ, თავიდან უნდა აიცილოს კლიენტის ინტერესების ან სხვა პირების, რომელთაც მისი მომსახურება ესაჭიროებათ, დაზიანება.[49]

---

42. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ , პარაგრაფი 13 (ბ)
43. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, პარაგრაფი 15
44. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, პარაგრაფი 25
45. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხ. 1.1.
46. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 2, პუნქტი 2.1.1.
47. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 2.7.
48. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21, პრინციპი III, პუნქტი 2, ქვეპუნქტი (გ)
49. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21 , პრინციპი III, პუნქტი 4

4. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ზოგადი შინაარსის დებულებებით იფარგლება და საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის, კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პატივისცემაზე უთითებს;[50] სპეციალური კანონით დადგენილია კლიენტის ინტერესების დაცვა,[51] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონში არ არის სპეციალური ნორმა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის შესახებ. კანონით ადვოკატის მოვალეობაა კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.[52]

5. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

5.1. ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს შორის ასახელებს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს,[53] ასევე, სპეციალური ნორმით ძალზედ ლაკონურად ადგენს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა[54]. ეთიკის კოდექსი შესბამისობაშია CCBE -ს შესაბამის რეგულაციასთან.[55]

5.2. ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლი ადვოკატებს, როგორც კოლეგებს შორის ურთიერთობას ეხება, მაგრამ საინტერესო დათქმას ითვალისწინებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის დაცვის დროს მხოლოდ კლიენტის და არა სხვა პირების ინტერესის პრიორიტეტულობის აღიარებას, რადგან დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.56 ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიმოხილვისას კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის საკითხთან დაკავშირებით, ქვემოთ შეგვხვდება ეთიკის კომისიის მიერ სწორედ ამ ნორმის გამოყენება.

5.3. პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, როდესაც არა მხოლოდ სხვა - მესამე პირთა ინტერესები, არამედ თავად ადვოკატის პირადი და იურიდიული პროფესიის ინტერესებიც კი, დაჩრდილულია კლიენტის ინტერესების უპირატესობის გამო და კლიენტთა სასარგებლოდ.

6. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

6.1. ეთიკის კომისიის მიერ განხილულ საქმეზე #3083/12/07, დადგინდა, რომ კლიენტის (ბრალდებულის) ინტერესების პრიორიტეტულობის გვერდის ავლით და მისივე ინტერესის საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელა კლიენტის დაცვა იმ პირობებში, როდესაც ადვოკატმა დასაცავი პირისაგან პირადად შეიტყო, რომ მას არ სურდა ამ ადვოკატის წარმომადგენლობა, მას უკვე ჰყავდა სხვა დამცველები. საქმეზე ეთიკის კომისიის 2007 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა პროფესიული ეთიკის მე-5 მუხლის - კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის შესახებ- უგულებელყოფა, კერძოდ, ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას დარღვევად იქნა მიჩნეული „..ის ფაქტი, რომ ადვოკატმა არ დააყენა თვითაცილება, მაშინ, როდესაც ბრალდებული წინააღმდეგი იყო დაეცვა მისი ინტერესები.“

6.2. 2010 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე #001/10 დარღვეულად იქნა მიჩნეული კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპი პროფესიული ეთიკის კოდექსის სხვა პრინციპებთან ერთად. კომისიის გადაწყვეტილებით *„კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი დაირღვა ადვოკატის მოქმედებით, როდესაც მან მიიღო საპროცესო ღონისძიებაში მონაწილეობა იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთმა სრულწლოვანმა ეჭვმიტანილმა უარი განაცხადა მის მომსახურებაზე. სსსკ-ის 73-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად (ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არსებული რედაქციით), ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს უფლება აქვთ თავად შეარჩიონ დამცველი და უარი თქვან შერჩეულ დამცველზე“.* ადვოკატმა სრულწლოვანი პირის - ბრალდებულის ნების გარეშე დაცვით, როდესაც არ არსებობდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალიწინებული იძულებითი დაცვის სავალდებულობა, დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5

50. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3. ქვეპუნქტი (ე)
51. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6
52. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, ქვეპუნქტები (ა,ბ)
53. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხ. 1
54. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5
55. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 2.7.
56. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2

მუხლით გათვალისწინებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე #044/10 სხვა პრინციპებთან ერთად, დარღვეულად მიიჩნია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. კერძოდ, ადვოკატმა ორდერი გამოწერა არა საკუთარი კლიენტის, არამედ სხვა ადვოკატის კლიენტის სახელზე და საპატიმრო დაწესებულებაში შეხვდა სხვის კლიენტს იმ მოტივით, რომ მისგან მიეღო გარკვეული ინფორმაცია, რასაც საკუთარი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენებდა. ეთიკის კომისიას პრეტენზიით მიმართა საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი პატიმრის ადვოკატმა. ეთიკის კომისიის განმარტებით:

„ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც ის ადვოკატის კლიენტი იყოს, დავალების შესასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის სახელზე გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა არა მსჯავრდებულის (ვის დასაცავადაც იქნა ხელშეკრულება გაფორმებული და ორდერი გამოწერილი), არამედ ამავე ადვოკატის სხვა კლიენტის ინტერესების დაცვას. ამ შემთხვევაში ადვოკატმა იმოქმედა თავისი კლიენტის დავალების საფუძველზე და მსჯავრდებულს შეხვდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიეღო თავისი კლიენტის დასაცავად საჭირო ინფორმაცია, რომელიც ადვოკატს დაეხმარებოდა თავისი კლიენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაში“.

6.3. პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს კლიენტის ინტერესებზე მაღლა პირადი და სხვა პირების ინტერესების დაყენებას, ეთიკის კომისიამ დასაბუთებულად მიიჩნია საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის ადვოკატის განცხადება (პრეტენზია) და თავის გადაწყვეტილებაში განმარტა: *„კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა გამომდინარებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება“.*

6.4. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე # 057/10 განმარტა, რომ *„... მართალია ადვოკატის მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა, მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია, კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს”.*

კომისიამ აღნიშნა, რომ *„ადვოკატი მისი მოქმედებით ორიენტირებული იყო არა სამართლებრივი გზით კლიენტისათვის დახმარების აღმოჩენაზე, არამედ უკანონო გზით შედეგის მიღწევაზე. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ ქრთამის მიცემის ფაქტმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას და პირადად კლიენტი დააყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ“.*

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ *„ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის, შიშის გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“.*

6.5. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით საქმეზე # 066/10 მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ არ იქნა გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, მოეპოვებინა კლიენტის მიერ მითითებული მტკიცებულება და კლიენტის ინტერესის გათვალისწინებით წარედგინა იგი სასამართლოზე. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ *„საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში; კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით“.* კომისიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, ადვოკატმა უარი თქვა მორიგებაზე და არ ურჩია კლიენტს საქმის მორიგებით დასრულება, რითაც დაარღვია ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და არსებითად დააზარალა კლიენტი.

6.6. ეთიკის კომისიამ 2011 წლი 01 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე #022/11 მიიჩნია, რომ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი. ადვოკატის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა დაარღვია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, კერძოდ, ადვოკატმა კლიენტის სახელით განცხადება სარჩელზე უარის თქმისა, ყადაღის გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, გააკეთა კლიენტთან შეთანხმების გარეშე და მისი ინტერესების საზიანოდ; აღნიშნული განცხადება, სარჩელზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული; ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა; ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად მიმართა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით; აღნიშნული მოთხოვნა, უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. ამ საქმეში არ არსებობდა სადავო ფაქტობრივი გარემოება.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ *„ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ...ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია თვლის, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნლეოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად“.*

ეთიკის კომისიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატის წარდგენილი განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტისა და ყადაღის გაუქმების თაობაზე, შეაფასა, როგორც კლიენტის ინტერესების სააწინააღმდეგო მოქმედება, რადგან აღნიშნული განცხადება არ იყო კლიენტის მიერ მოწონებული და კლიენტის ინტერესს წარმოადგენდა საქმის განხილვა და სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ამ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ მიუთითა: *„კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის განცხადება უზრუნველყოფის საშუალების ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა, რადგან იგი სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა, როგორც კლიენტის სურვილი და ამ გზით მიადგა ზიანი კლიენტის ინტერესებს“.*

ეთიკის კომისიამ იმ ფაქტზეც იმსჯელა, რომ ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობები და ვალდებულებები არსებობდა, რაც *„წარმოშობს საფრთხეს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებზე მაღლა საკუთარი ან სხვა პირის ინტერესების დაყენებისა“.*

ამ საქმეზე ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების უგულებელყოფა, როდესაც ადვოკატმა კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები და კლიენტის თანხმობის გარეშე, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა და ყადაღის გაუქმება, რაც უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესს წარმოადგენდა.

6.7. ეთიკის კომისიამ საქმეზე # 032/11 მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის კოდექსი და საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვისა და განხორციელებისათვის მოქმედებდა. ამ საქმეზე განმცხადებლის პრეტენზია ეხებოდა იმას, რომ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის - ყოფილი მეუღლის ადვოკატი, შეიჭრა მის სახლში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მიიყვანა ექსპერტი, იმ მიზნით, რომ შეფასებულიყო ბინა. საქმის მასალებიდან გამომდინარე, მეუღლეებს შორის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა თანასაკუთრებიდან კუთვნილი წილის გამოყოფაზე და პროცესუალური მოწინააღმდეგის სახლში ადვოკატმა მიიყვანა ექსპერტი, რათა შეფასებულიყო მისი კლიენტის მიერ სადავოდ ქცეული ქონება. ამ საქმეზე 2011 წლის 02 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. განმცხადებლის პრეტენზია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისადმი იმის გამო, რომ იგი კლიენტის ინტერესების დასაცავად, კანონმდებლობის

შესაბამისად ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს, ვერ გახდებოდა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

6.8. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #046/11 მიუთითა: *„ადვოკატებმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით“.*

თავი V ინტერესთა კონფლიქტი

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21

ხსენებული რეკომენდაცია ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ პრინციპების ჩამონათვალში, ადვოკატის როლისა და მოვალეობების მითითებისას, ადვოკატებს ავალდებულებს თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი.[57]

2. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე კოდექსი იმპერატიულად ადგენს, რომ ადვოკატს უფლება არა აქვს კონსულტაცია გაუწიოს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე თუ:

- აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი
- ან არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის წარმოიშვას კონ-ფლიქტი.[58]

ამავე კოდექსის მიხედვით ადვოკატი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას ანუ უკვე დაწყებული აქვს კლიენტების საქმეზე მუშაობა, ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა:

- ორივე კლიენტის სახელით საქმისწარმოების იმ სტადიაზე, რომელზეც ამ კლიენტთა შორის წარ-მოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი,
- ნდობის დარღვევის რისკის არსებობისას
- ან თავად ადვოკატის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას.[59]

კოდექსით ასევე დადგენილია, რომ ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის სახელით სა-ქმიანობაზე, თუ:

- არსებობს ყოფილი კლიენტის ადვოკატისადმი ნდობის დარღვევის რისკი
- ან თუ ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი ფლობს, ახალი კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს.[60]

კოდექსის ეს ნორმა საადვოკატო საქმიანობისას ინტერესთა კონფლიქტის რამდენიმე არაამომწურავ, მხოლოდ სანიმუშო გარემოებას აღწერს, მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც აშკარად არის სახეზე ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის კლიენტებს შორის, არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატმა თავად უნდა შეაფასოს შემდეგი რისკები: კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა, ნდობის დარღვევა, თავად ადვოკატის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ადვოკატისადმი ყოფილი კლიენტის ნდობის დარღვევა, ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ადვოკატის ხელთ არსებული ინფორმაცია, მის ახალ კლიენტს შესაძლოა ანიჭებდეს არამართებულ უპირატესობას. ხსენებულ ნორმაში მოცემული რისკები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად ადვოკატის შესაფასებელია და შესაძლებელია სხვადასხვა

57. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21 ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ - პრინციპი III, პუნქტი 2, ქვეპუნქტი (დ)
58. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 3.2. – პუნქტი 3.2.1
59. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 3.2. – პუნქტი 3.2.2.
60. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 3.2. - პუნქტი 3.2.3.

ვითარებაში განსხვავებულად გამოვლინდეს, თუმცა, ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კოდექსის ეს ნორმა ადვოკატს იმპერატიულად უდგენს - „..უფლება არა აქვს...“, „..ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა...“, „... თავი უნდა შეიკავოს...“ - თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოქმნის საფრთხეს.

3. „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი

3.1. ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს ადვოკატის მოვალეობებს.[61] მითითებული ნორმის ჩამონათვალში, რომელიც ამომწურავია, „ე“ ქვეპუნქტში დადგენილია, რომ ადვოკატი ვალდებულია ინტერესთა შუთავსებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ კლიენტს. კანონის მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულია, თუ რა შეიძლება მიჩნეული იქნეს ინტერესთა შუთავსებლობად, რომლის არსებობის ან წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატს ევალება აცნობოს ამის თაობაზე კლიენტს. აღსანიშნავია, ეთიკის კოდექსისა და სპეციალური კანონის ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნება, კერძოდ: ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმა სახელდებულია როგორც „ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი“, ხოლო კანონის შესაბამისი ნორმა - ინტერესთა შუთავსებლობაზე უთითებს.

3.2. ინტერსთა შუთავსებლობა კანონის მიხედვით შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.
- ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.
- დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.[62]

3.3. მითითებული სამართლებრივი ნორმის პირველი პუნქტი ავალდებულებს ადვოკატს არ მოიქცეს იმგვარად (არ განახორციელოს ქმედება, რაც ნიშნავს, როგორც აქტიურ, ისე პასიურ ქცევას), არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის:

- კლიენტის ინტერესებს;
- ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას;
- ადვოკატის დამოუკიდებლობას.

მითითებული ნორმის ანალიზისას იკვეთება ადვოკატის პასუხისმგებლობა, რომლის ქმედებამ შეესაძლოა საფრთხე შუქმნას როგორც კლიენტს, ისე თავად ადვოკატს. კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ დაუშვებელია ადვოკატმა პროფესიული საქმიანობა განახორციელოს იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე საქმეზე უკვე მონაწილეობდა მეორე მხარის სასარგებლოდ; ასევე ადვოკატს უფლება არ აქვს პროფესიული ფუნქციები შეასრულოს იმ საქმეზე, სადაც ის მონაწილეობდა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით; ეს ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ არ არის ამომწურავი, რადგან გარდა კანონში მითითებული სხვადასხვა სტატუსისა, დაუშვებელია ადვოკატმა პროფესიული ფუნქციები შეასრულოს იმ საქმეზე, რომელზეც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი განახორციელა.

4. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

4.1. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს შორის უთითებს, რომ ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას ინტერესთა კონფლიქტი[63], ხოლო შემდეგ ცალკე

61. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 5
62. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.
63. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - მუხლი 1

სამართლებრივი ნორმით[64] განსაზღვრავს როგორ შეიძლება გამოვლინდეს ინტერესთა კონფლიქტი; კერძოდ, ხსენებული ნორმის მიხედვით ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი არსებობს აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი65. ხსენებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, საუბარია ერთსა და იმავე საქმეზე ორ ან მეტ კლიენტს შორის უკვე არსებულ ინტერესთა კონფლიქტზე, რა შემთხვევაშიც ადვოკატს უფლება არა აქვს გასწიოს კონსულტაცია ან იყოს კლიენტების წარმომადგენელი. ამავე ნორმით დადგენილია, რომ ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე საქმეზე, თუკი:

- ამ კლიენტებს შორის უკვე არსებობს ინტერესთა კონფლიქტი
- ან ამ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.[66]

4.2. ამავე ნორმით დადგენილია, რომ ინტერესთა კონფლიქტის ზემოხსენებული გამოვლინებები დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც წინასწარ არ იყო სახეზე ინტერესთა კონფლიქტი, არამედ წარმოიშვა საქმის წარმოების პროცესში ან წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე საქმის წარმოების პროცესში.[67]

ზემოხსენებული ნორმით ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი:

- კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე
- ან არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.[68]

4.3. მითითებული სამართლებრივი ნორმა ნაწილობრივ ემთხვევა ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის ნორმის ფორმულირებას ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის თაობაზე და იმპერატიულად უთითებს ადვოკატს, არ გაუწიოს კონსულტაცია, არ დაუშვას წარმომადგენლობა ან შეწყვიტოს კლიენტების წარმომადგენლობა საქმისწარმოების იმ ეტაპზე, სადაც წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი ან ასეთი კონფლიქტის საფრთხე.

5. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

5.1. აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიამ კლიენტის მიერ ადვოკატის საწინააღმდეგოდ წარდგენილი რამდენიმე საჩივარი განიხილა, სადაც რიგ შემთხვევაში დაადგინა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ან ასეთი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, ხოლო ზოგიერითი საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

5.2. ეთიკის კომისიის მიერ განიხილულ საქმეში # 015/10 განმცხადებლის პრეტენზია ადვოკატისადმი მდგომარეობდა იმაში, რომ ადვოკატი ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა სამი განსასჯელის ინტერესებს. ერთ-ერთმა განსასჯელმა, კერძოდ, განმცხადებლის მეუღლემ, გამოძიებას მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლითაც დაადანაშაულა ორი სხვა განსასჯელი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. საჩივრის ავტორის მეუღლის წინააღმდეგ, სხვა განსასჯელებმა ჩვენებები მისცეს გამოძიებას და დაადანაშაულეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ამასთან, უთითებდნენ, რომ განსასჯელმა ისინი მოტყუებით ჩართო ამ საქმეში. ადვოკატმა უარი თქვა ორი განსასჯელის ინტერესების დაცვაზე და მხოლოდ ერთის ინტერესების დაცვა განაგრძო. დაცვის გარეშე დარჩენილ ორ განსასჯელს დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს მიერ.

64. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - მუხლი 6
65. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი - მუხლი 6, პუნქტი 1
66. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი 2
67. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6. პუნქტი 3
68. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი 4

ეთიკის კომისიამ ამ საქმეზე 2011 წლი 20 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„... სისხლის სამართლის საქმეში, კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კლიენტი საქმის მსვლელობის პროცესში ადანაშაულებს სხვა კლიენტს, ან მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სხვა კლიენტების მიერ წარმოდგენილ გარემოებებს. შესაბამისად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი იმ მომენტიდან, როდესაც მისი კლიენტების ჩვენებები ერთმანეთს არ დაემთხვა და მათ ერთმანეთი დაადანაშაულეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში."

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საფუძველზე „..ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის პრინციპის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე".

კომისიის განმარტებით: „..მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებული იყო შეეწყვიტა სამივე კლიენტის დაცვის განხორციელება, რადგან მათ მიერ განსხვავებული ჩვენებების მიცემამდე, იგი წარმოადგენდა სამივე განსასჯელს და ფლობდა სამივე მათგანისაგან მიღებულ ინფორმაციას. ...მოცემულ შემთხვევაში წარმოიშვა ადვოკატის მიერ კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის პრინციპის ხელყოფის საფრთხე და შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს გამოეყენებინა დარჩენილი კლიენტის სასარგებლოდ ან სხვების საზიანოდ. შესაბამისად, ადვოკატს გააჩნდა ვალდებულება შეეწყვიტა სამივე კლიენტის წარმომადგენლობა".

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით და განმარტა, რომ ადვოკატმა უნდა იხელმძღვნელოს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.

5.3. ეთიკის კომისიამ საქმეზე # 092/10, 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებაში განმარტა ეთიკის კოდექსის პრინციპი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობაზე; კერძოდ, კლიენტის სამდურავი ადვოკატის მიმართ მდგომარეობდა შემდეგში: ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის ინტერესებს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე. განმცხადებლის სარჩელი დაკმაყოფილდა და მას საკუთრებაში გადაეცა მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ამის შემდეგ განმცხადებლის ადვოკატი წარმოადგენდა განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, განმცხადებლისავე წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. დავის საგანს წარმოადგენდა წინათ სადავო საცხოვრებელ ბინაში, რომელიც განმცხადებელს (ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორს) მიეკუთვნა სასამართლო წესით, განხორციელებული მიშენების ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატი შემდგომ წარმოადგენდა განმცხადებლის კიდევ სხვა - მეორე მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს თავისი თავდაპირველი კლიენტის (განმცხადებლის) მიმართ აღძრულ დავაში.

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სპეციალური კანონის მოთხოვნათა დარღვევები. კომისიის გადაწყვეტილებით: „ადვოკატი, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმოამდგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანაკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა, გარდა შემთხვევისა, როდესაც კონსულტაციის შედეგად ყოფილი კლიენტი განაცხადებს თანხმობას. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა განმცხადებლის ინტერესებს, ხოლო შემდგომ სასამართლო პროცესზე გამოვიდა მისი მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად".

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტის, საჩივრის ავტორის საწინააღმდეგო პოზიციას. ადვოკატმა არ შეასრულა ვალდებულება თავი აეერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ახალი და ყოფილი კლიენტების ინტერესებს შორის. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა შემდგომი კლიენტის წარმომადგენლობა განმცხადებლის წინააღმდეგ განახორციელა არსებითად და სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინაშე. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა

კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა შექმნა ყოფილი კლიენტის მიერ გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფის საფრთხე. „ადვოკატს, ერთის მხრივ, ყოფილი კლიენტის მიმართ გააჩნდა ვალდებულება დაეცვა კონფიდენციალური ინფორმაცია და მეორეს მხრივ, ამჟამად არსებულ კლიენტი უნდა დაეცვა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ერთმანეთის კონკურენტულია და წარმოიშვება ადვოკატის მიერ ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე.

5.4. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე # 016/11 მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი. საჩივრის მიხედვით, განმცხადებელი აწარმოებდა დავას, საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით დეიდის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენლობასაც ახორციელებდა ადვოკატი. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლომ იგი აღიარა სადავო საცხოვრებელი ბინის მართლზომიერ მფლობელად და აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მიერაც დარჩა უცვლელი. საჩივრის ავტორის განმარტებით, საჯარო რეესტრიდან ბინასთან დაკავშირებული საბუთების გამოტანისას შეიტყო, რომ ბინა გასხვისებული იყო. განმცხადებელი ბინის ახალი მესაკუთრის მოთხოვნით გამოასახლეს ბინიდან. განმცხადებელი ბინის ამჟამინდელი მესაკუთრის წინააღმდეგ აწარმოებს დავას და ამჟამინდელი მესაკუთრის წარმომადგენელი ამ დავაზე ბინის ყოფილი მესაკუთრის (განმცხადებლის ყოფილი პროცესუალური მოწინააღმდეგის - დეიდის) ადვოკატია.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში ადვოკატი მოქმედებდა მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს ამ საქმეზე. კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატს შეეძლო როგორც განმცხადებლის დეიდის წარმომადგენლობის განხორციელება, ისე ამ უკანასკნელის ბინის ახალი მესაკუთრის წარმომადგენლობის განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს არ გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ადვოკატი ორივე შემთხვევაში წარმოადგენდა განმცხადებლის პროცესუალური მოწინააღმდეგეების ინტერესებს და არ წარმოშობილა ინტერესთა კონფლიქტი, არც ამგვარი კონფლიქტის საფრთხე.

5.5. ეთიკის კომისიის 2011 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე # 026/11 დადგინდა, რომ ადვოკატს არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის კოდექსი. კერძოდ, განმცხადებლი და მისი მეუღლე წარმოადგენდნენ დაზარალებულ მხარეს სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი განსასჯელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის განმცხადებელმა მიმართა ადვოკატს, რაზედაც ადვოკატმა მას უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო სისხლის სამართლის საქმეში ერთ-ერთი განსასჯელის წინააღმდეგ, რადგან ადრე მოსამართლის ფუნქციების შესრულებისას, ეს უკანასკნელი გასამართლებული ჰყავდა სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, რაც წარმოადგენდა მისი აცილების საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს, როგორც ყოფილ მოსამართლეს, სხვა საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი ჰქონდა განაჩენი განმცხადებლის საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ. აღნიშნული განაჩენი გამოყენებული იქნა საჩივრის ავტორის საქმეში იმავე ბრალდებულის მიმართ სასჯელის დაკისრების ნაწილში. კერძოდ, მისი სასჯელი შეიკრიბა ძველი სასჯელის მოუხდელ ნაწილთან. შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს წარმოეშვა ინტერესთა შეუთავსებლობა და აღარ ჰქონდა უფლება გაეგრძელებინა მონაწილეობა, როგორც ადვოკატს იმ საქმეში, სადაც მისი, როგორც მოსამართლის განაჩენი იქნა გამოყენებული.

კომისიის გადაწყვეტილებით: „...ადვოკატისათვის პროფესიული ფუნქციების განხორციელების აკრძალვისას თანაბარი მნიშვნელობა აქვს ფორმალური (სასჯელის ავტომატური შეკრება) და შინაარსობრივი (უშუალოდ საქმის არსებითი განხილვა) წინაპირობების არსებობას, რადგან ორივე შემთხვევაში არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობის წარმოშობის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ადვოკატის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაზე. ... მართალია, ადვოკატი უშუალოდ განმცხადებლის საქმეში არ მონაწილეობდა მოსამართლედ და აღნიშნულ საქმეში მისი

ადვოკატად მონაწილეობის პირდაპირი აკრძალვა არ არსებობს, თუმცა, არაპირდაპირ ადვოკატს წარმოეშვა ინტერესთა შეუთავსებლობა, რადგან მის მიერ სხვა საქმესთან დაკავშირებით მიღებული განაჩენი აღნიშნულ საქმეში სასჯელის შეკრების ნაწილში იქნა გამოყენებული". განსახილველი შემთხვევა კომისიის მიერ შეფასდა, როგორც ადვოკატის მიერ იმავე საქმეში მონაწილეობის აკრძალვა, რომელშიც მან განახორციელა მოსამართლისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

5.6. ეთიკის კომისიის 2011 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე # 042/11, ასევე არ დადგინდა ინტერესთა კონფლიქტის პრინციპის დარღვევა ადვოკატის მიერ. საქმე ეხებოდა ვითარებას, რომელშიც განმცხადებელი წარმოადგენდა შპს „X"-ის ერთ-ერთ დამფუძნებელს და საწარმოს წარმომადგენელს, მან სარჩელით მიმართა სასამართლოს „ა"-სა და „ბ"-ს შორის დადებული რესტორნის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ამ რესტორნის შპს „X"-ის საკუთრებად აღიარების მოთხოვნით. „ა" ამავე დროს შპს „ X"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. მოპასუხე „ბ"-მ აღძრული სარჩელის საპასუხოდ, ნივთის (რესტორნის) უკანონო მფლობელობიდან (შპს „X"-ის მფლობელობიდან) გამოთხოვის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ადვოკატი იცავდა როგორც შპს „X"-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, „ა"-ს ინტერესებს, ასევე „ბ"-ს ინტერესებსაც შპს „X"-ის წინააღმდეგ და მის მიერ სადავოდ გამხდარი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ითხოვდა შპს „X"-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის (რესტორნის) გამოთხოვას. განმცხადებელი სწორედ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის მოტივით ედავებოდა ადვოკატს და საკუთარ პრეტენზიას იმით ასაბუთებდა, რომ ადვოკატი იცავდა ორი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს ერთი და იგივე საქმეზე, რადგან ორივე სარჩელს დავის საგანი საერთო ჰქონდა და სასამართლოს განჩინებით ერთ სასარჩელი წარმოებად იყო გაერთიანებული.

ეთიკის კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა სადავო სამართალურთიერთობის საგანზე. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ შპს „X", როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნი – საწარმო, „მეწარმეთა შესახებ" კანონის საფუძველზე წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დამოუკიდებლად გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში, როგორც მოსარჩელე და მოპასუხე. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საწარმო დაობს გარიგებაზე, რომლის ერთ-ერთი მხარე-„ა", ამავე საწარმოს ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორია და დავის საგანია „ა"-სა და „ბ"-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ფაქტობრივი მფლობელი - მოსარჩელე შპს „X"-ია, ხოლო „ბ" თავის მხრივ, სასამართლო დავას აწარმოებდა შპს „X"-ის წინააღმდეგ, არ უნდა განიმარტოს როგორც ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დარღვევა. ეთიკის კომისიამ საჭიროდ ჩათვალა განემარტა, რომ „ბ"-ს ინტერესების დაცვა ადვოკატის მიერ შპს „X"-ის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელში არ ნიშნავს იმავდროულად საწარმოს ერთ-ერთი პარტნიორის „ა"-ს ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებულ პროფესიულ საქმიანობას. ეთიკის კომისიის შეფასებით, საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა გასწია იმ საქმეზე, რომელზეც უკვე განხორციელებული ჰქონდა პროფესიული ფუნქციები მეორე პირის სასარგებლოდ, შესაბამისად ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა ადვოკატის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტი.

5.7. ეთიკის კომისიის 2011 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე # 022/11 დადგინდა ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის პრინციპის დარღვევა. განმცხადებლის პრეტენზია მდგომარეობდა შემდეგში: ადვოკატმა კლიენტის სახელით განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე გააკეთა კლიენტთან შეთანხმების გარეშე და მისი ინტერესების საზიანოდ; აღნიშნული განცხადება, სარჩელზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული; ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა; ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად მიმართა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით; აღნიშნული მოთხოვნა, უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. განსახილველ საქმეში არ არსებობდა სადავო ფაქტობრივი გარემოება.

კომისიამ სხვა დარღვევებთან ერთად, გადაწყვეტილოებაში აღნიშნა: „...ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს

შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“.
კომისიამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „..ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობებისა და ვალდებულებების არსებობა, წარმოშობს საფრთხეს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებზე მაღლა საკუთარი ან სხვა პირის ინტერესების დაყენებისა... ადვოკატი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო, არ უნდა გამოსულიყო სასამართლო პროცესზე და უნდა შეეწყვიტა კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება“.

5.8. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქმეზე # 027/11 ყურადღება გა-ამახვილა იმაზე, რომ ადვოკატი მომსახურებას ეწეოდა ორი კლიენტის სასარგებლოდ, მათივე თანხმობით და მათი ინტერესის საერთო ობიექტის - უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით. მაშინ, როდესაც ერთმა კლიენტმა - „ა“ -მ ადვოკატს უარი უთხრა საადვოკატო მომსახურებაზე და გამოართვა მას საკუთარი დოკუმენტაცია, ადვოკატს აღნიშნული უნდა ეცნობიბებინა მეორე კლიენტის - „ბ“ -თვის. კომისიამ განმარტა: „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“. ამ შემთხვევაში ადვოკატის ერთ-ერთი კლიენტი მისი ახლობელი იყო.
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით განმარტებულია: „ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ადვოკატი აწარმოებდა სამართლებრივ საქმეს კლიენტის ინტერესების დასაცავად და ყოფილი კლიენტის და ამჟამად არსებული კლიენტის ინტერესებს შორის წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, რაც მათ შორის სამოქალაქო საპროცესო წესით წარმოებულ დავაში გამოიხატა. ...ასეთ შემთხვევაში- ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს კლიენტის საქმის წარმოება, რადგან ყოფილი კლიენტის მიმართ შესაძლოა გაჩნდეს კონფიდენციალობის პრინციპის, დარღვევის რისკი“.
კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ: „კლიენტსა და ადვოკატს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს კვლავ გააჩნია ვალდებულება ყოფილი კლიენტის მიმართ კონფიდენცილობისა დაცვის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამჟამად არსებულ და ყოფილ კლიენტს შორის შესაძლოა წარმოიშვას ინტრესთა კონფლიქტის საფრთხე“.

5.9. საგულისხმოა ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე # 046/11, სადაც კლიენტთა ინტერესების კონფლიქტისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის საკითხებია განმარტებული, კერძოდ: ადვოკატმა, რომელიც თავად იყო ამხანაგობის წევრი და ამხანაგობაში საწევრო შენატანი განახორციელა საადვოკატო მომსახურების სახით, შეისყიდა და საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა ამხანაგობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი მოქ. „გ“. - განი. საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდა ამხანაგობისა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ნაწილის ზედდება; ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ადვოკატი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ წარმოადგენდა ამხანაგობას და რწმუნებულება მხარეებს შორის ძალაში გახლდათ. შესაბამისდ, ადვოკატს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის რისკი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა თან, რადგან მოქ. „გ“.- ს უძრავი ქონების ზედდება მოხდა ამხანაგობის უძრავ ქონებაზე და ამხანაგობის მიწის ნაკვეთის ნაწილი მოქ. „გ“.-ს საკუთრებაში აღმოჩნდა. ეთიკის კომისიამ ისიც გაითვალისწინა, რომ მოქ. „გ“. - ს საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმომადგენლობას თავად ადვოკატი ახორციელებდა და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აზომვითი ნახაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის გადაფარვის თაობაზე.
ეთიკის კომისიამ ამ გადაწყვეტილებაში საგანგებოდ იმსჯელა ადვოკატ- კლიენტის ურთიერთობაზე, კერძოდ: ადვოკატი იყო ამხანაგობის წევრი და ამასთანავე ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, იცავდა ამხანაგობის ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. „გასათვალისწინებელია, რომ

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული შენატანის განხორციელება. სამოქალაქო კოდექსი აღნიშნული ხელშეკრულებისათვის გათვალიწინებულ შენატანად დასაშვებად მიიჩნევს ყველა სახის აქტივს, რომელიც ამხანაგობის წევრს შეაქვს საერთო საქმეში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საერთო მიზნის სწრაფ და ეფექტურ მიღწევას";

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით უნდა უზრუნველეყო ამხანაგობის წინაშე აღებული ვალდებულებების, წარმომადგენლობის განხორციელება. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობას საქართველოში ახორციელებს ადვოკატი და იგი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედოს კანონის, პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და ვალდებულია შეასრულოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება განახორციელა ამხანაგობაში შენატანის სახით, თუ ფულადი საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებოდა მას. ადვოკატი, საადვოკატო მომსახურების დროს წარმოადგენს პირს, რომელიც ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას, მოცემულ შემთვევაში, ასევე არა აქვს მნიშვნელობა საკუთარი ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას, თუ ამხანაგობას, ყველა მათგანი მის კლიენტებს წარმოადგენენ და შესაბამისად, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ვალდებულებების და კანონის ფარგლებში".

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ამხანაგობასა და ადვოკატს შორის ურთიერთობა კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობა გახლდათ. ეთიკის კომისიამ სხვა მტკიცებულებათა შორის, მიუთითა ამხანაგობის კრების ოქმზე, რომლის მიხედვით, ადვოკატმა აიღო ვალდებულება დაეცვა ამხანაგობის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთერთობაში. „შესაბამისად, ამხანაგობა წარმოადგენდა კლიენტს, რადგან ადვოკატმა თავის თავზე აიღო ვალდებულება, მისი პროფესიის საშუალებით განეხორციელებინა შენატანი ამხანაგობაში და დაეცვა კლიენტის ინტერესები".

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, ადვოკატს ევალებოდა დაეცვა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით" დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის დროსაც ადვოკატი დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატის მიერ მოქ. „ბ".-ს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, წარმოიშვა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს, რადგან ადვოკატი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილის მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადვოკატს წარმოეშვა საკუთრების უფლება, რომელიც დაუპირისპირდა ამხანაგობის საკუთრების უფლების დაცვას. ადვოკატმა თავად დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და ამხანაგობის ინტერესებს შორის, საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე გააკეთა, როდესაც შეიძინა სადავო მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში, ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას, კანონის ყველა საშუალებების გამოყენებით დაეცვა კლიენტი".

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ადვოკატებმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით".

თავი VI – კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის რეგულირება

ა) კლიენტის მომსახურების დაწყება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ

პრინციპები ცალკე არ შეიცავენ მითითებას საადვოკატო მომსახურების დაწყების შესახებ. პრინციპების პირველი მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანს აქვს უფლება მიმართოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარებას, მისი უფლებების დასაცავად სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა ეტაპზე". მართალია ეს მუხლი ძალიან ზოგადია და წარმოადგენს პროცესუალური უფლების აღიარებას, მაგრამ მიუთითებს, რომ ნებისმიერი ეტაპიდან არის შესაძლებელი, კლიენტს მის მიერ არჩეულმა ადვოკატმა გაუწიოს დახმარება.

კლიენტის წინაშე ადვოკატის მოვალეობებს ეხება გაეროს შემდეგი პრინციპები:

- ადვოკატის მოვალეობაა რჩევა მისცეს კლიენტს, მისი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე კლიენტის უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში სამართლებრივი სისტემის მოქმედების შესახებ;
- დაეხმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად;
- დაეხმაროს კლიენტს სასამართლოს, ტრიბუნალებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.[69]

2. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

კოდექსი ემყარება ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადვოკატი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოდის. მიუხედავად კოდექსის ზოგადი ხასიათისა, მესამე თავი შეეხება კლიენტთან ურთიერთობის საკითხებს, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატმა კლიენტის კონსულტაცია და წარმომადგენლობა დაუყოვნებლივ, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა განახორციელოს. აქედან გამომდინარე, ადვოკატის მომსახურება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ის დაუყოვნებლივ იწყებს კლიენტის კონსულტირებას ან მისი ინტერესების სასამართლოში ან სხვა ორგანოებში წარმოდგენას (3.1.)

3. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსის მიხედვით, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთშეთანხმება. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში."[70]
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ადვოკატს იწვევს ბრალდებული ან მისი ნების გათვალსიწინებით, ახლო ნათესავი ან სხვა პირი. [71]

69. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ. მუხლი 13.
70.საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. მუხლი 8.
71. საქართველოსა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 41.

4. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

საადვოკატო მომსახურება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებობს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი შეთანხმება.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 18 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე N 028/11 განიხილა კლიენტის პრეტენზია, რომელიც ადვოკატს უჩიოდა საქმის წარმოებისას გამოჩენილ უმოქმედობაზე, ადვოკატი არ უზრუნველყოფდა საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების და საბუთების მოძიებას. განმცხადებლის განმარტებით, ადვოკატი მის ინტერესებს კვალიფიციურად არ იცავდა, ადვოკატმა კლიენტს ურჩია მხოლოდ რწმუნებულების გაფორმება იმ მოტივით, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის გაფორმებული იყო რწმუნებულება, რაც ადვოკატს აძლევდა შესაძლებლობას დაუბრკოლებლად განეხორციელებინა კლიენტის წარმომადგენლობა და დაეცვა მისი ინტერესები. ადვოკატსა და კლიენტს შორის დამატებით საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება მოხდა ზეპირად და კლიენტის პრეტენზია ხელშეკრულების არარსებობის თაობაზე, არ შეიძლება მიჩნეულიყო ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად, რადგან ურთიერთშეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით“.

ეთიკის კომისიის მიერ 2011 წლის 10 ივნისს განხილულ საქმეზე N 045/11 დადგენილია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ნაცვლად, სახეზე იყო მსესხებელსა და გამსესხებელ შორის ურთიერთობა. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, განმცხადებელმა დახმარება სთხოვა ადვოკატს. ადვოკატმა მას გაუწია სამართლებრივი მომსახურება, შეუდგინა წერილი და შუამდგომლობა, ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება არ მიიჩნია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად.

ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის 22 ნოემბერს განხილულ საქმეზე N 044/10, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ „საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს უფლებამოსილი პირების (განსახილველ შემთხვევაში მეგობრის) მიერ ადვოკატთან ხელშეკრულების გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა... ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც ის ადვოკატის კლიენტი იყოს, დავალების შესასრულებლად“

ბ) მომსახურების შეწყვეტა

1. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსში დეტალურადაა გაწერილი ადვოკატის მომსახურების შეწყვეტის პირობები. ადვოკატსა და კლიენტის შორის საქმიანი ურთიერთობის დასრულებასთან დაკავშირებით, ადვოკატს კლიენტის მომსახურებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტს ყოველგვარი ზიანის გარეშე შეუძლია მიმართოს სხვა ადვოკატს. კოდექსში აღ-ნიშნულია:

”ადვოკატმა არ უნდა აწარმოოს საქმე, რომელშიც მან იცის ან უნდა იცოდეს, რომ არაკომპეტენტურია ისეთ ადვოკატთან თანამშრომლობის გარეშე, რომელიც აღნიშნულ საქმეში კომპეტენტურია. ადვოკატმა არ უნდა მიიღოს მითითებები, თუ მას არ შეუძლია მათი დაუყოვნებლივ შესრულება სხვა საუშაოს გამო ზეწოლიდან გამომდინარე.

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთი ფორმით ან ისეთ გარემოებებში, რომლებშიც კლიენტი უძლური იქნება დროულად იპოვოს სხვა იურიდიული დახმარების საშუალება, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით”.

თუ ადვოკატის მხრიდან არ იქნება დარღვეული კლიენტის უწყვეტი დაცვის ვალდებულება, ადვოკატს შეუძლია შეუწყვიტოს კლიენტს მომსახურება.[72] რიგ შემთხვევებში კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტა ადვოკატის უფლებაა და არა ვალდებულება. ეს შესაძლებელია მოხდეს გარკვეულ გარემოებებში. ადვოკატს არ ეკისრება ვალდებულება აიღოს ყველა საქმე, პროფესიული ეთიკის წესებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე, მას შეიძლება გარკვეული კატეგორიის საქმეების აღებაც კი შეეზღუდოს. კლიენტის მომსახურების შეწყვეტის საფუძველია ინტერესთა კონფლიქტი.[73]

2. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ადვოკატსა და კლინეტს შორის ურთიერთობის შეწყვეტის რამდენიმე გარემოებაა დადგენილი. შეწყვეტის პატივსადებ საფუძვლად ჩაითვლება, როდესაც:

- ა) წარმომადგენლობის გაგრძელება იწვევს ეთიკის კოდექსის დარღვევას;
- ბ) კლიენტი იყენებს ადვოკატის მომსახურებას სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მიზნით;
- გ) კლიენტი მოითხოვს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელსაც ადვოკატი კატეგორიულად არ ეთანხმება ან ეწინააღმდეგება და
- დ) ასევე სხვა საფუძვლით, რომელიც საქმის ვითარებიდან გამომდინარე ჩაითვლება პატივსადებ მიზეზად.

პატივსადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის ჯანმრთელობის მოშლა, ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატსა და კლიენტს შორის.

წარმომადგენლობის შეწყვეტის საფუძველს იწვევს ეთიკის ნორმების ან კანონმდებლობის დარღვევა. ამ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს წარმომადგენლობა. საადვოკატო მომსახურება წყდება იმ შემთვევაშიც, თუკი ადვოკატი, რომელიც ორდერის საფუძველზე იცავდა კლიენტის ინტერესებს, ორდერის ვადის გასვლის გამო, ვეღარ ახორციელებს თავის ვალდებულებებს.

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი და თანხა ან ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, გარდა ადვოკატის მიერ მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელოსი.

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის შეწყვეტის მიუხედავად, ძალაში რჩება ადვოკატის რიგი ვალდებულებები, მაგალითად, კონფიდენციალობის ვალდებულება, რაც დროში შეუზღუდავია.

კლიენტსა და ადვოკატს შორის საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებული ურთიერთობის დამყარების შემდეგ, ადვოკატს უფლება არ აქვს გონივრული და პატივსადები საფუძვლის გარეშე შეწყვიტოს წარმომადგენლობა. ადვოკატი ვერ შეწყვეტს კლიენტის დაცვას, თუკი კლიენტს არა აქვს შესაძლებლობა დროულად მიიღოს სხვა ადვოკატისაგან იურიდიული დახმარება. ადვოკატი ვალდებულია გააგრძელოს წარმომადგენლობა გარკვეულ ეტაპამდე.[74]

3. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

3.1. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 25 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე N 011/10 განმარტა: "ადვოკატს ევალება კლიენტს გაუწიოს საადვოკატო მომსახურება ორდერის ფარგლებში, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ვადა გასულია. შესაბამისად, ადვოკატის მიერ არ დარღვეულა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი". განხილულ საქმეში განმცხადებლის პრეტენზია იმაში მდგომარეობდა, რომ ადვოკატმა სარჩელი შეადგინა და შეიტანა საქალაქო სასამართლოში. სარჩელის მოთხოვნა იყო სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება. ამ ნაწილში მოსამართლემ

72. ევროგაერთიანების ადვოკატთა კოდესი. მუხლი 3.1.4.
73. ევროგაერთიანების ადვოკატთა კოდექსი. მუხლი 3.2.
74. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები. თბილისი 2009წ. გვ.22.

ხარვეზი დაადგინა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა დააკისრა მოსარჩელეს. განმცხადებელმა ბაჟის გადახდის ქვითარი სასამართლოში მიუტანა ადვოკატს. ამის მიუხედავად, იგივე მიზეზით დადგინდა ხარვეზი სარჩელზე, ხოლო მოგვიანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე ბაჟის გადაუხდელობის გამო.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ ადვოკატი შეგნებულად აჭიანურებდა საქმის მომზადებას და არ ეკიდებოდა სათანადოდ მის ინტერესებს. ადვოკატის განმარტებით, იგი 2008 წლის 16 ოქტომბრის ორდერის საფუძველზე იცავდა კლიენტის ინტერესებს, რომელსაც ვადა გაუვიდა 2009 წლის 10 ნოემბერს. მან ყველა საპროცესო მოქმედება განახორციელა, ხოლო ბაჟის გადახდის ვალდებულება კი განმცხადებელს გააჩნდა.

3.2. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 28 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე N005/10 დაადგინა, რომ დაუსაბუთებელი იყო განმცხადებლის მოთხოვნა ადვოკატის საქმიდან ჩამოშორების შესახებ, ვინაიდან სანოტარო აქტით დადასტურებულია კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობის უფლების გაუქმება. ამავე აქტით, მარწმუნებულს ეკისრება რწმუნებულისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მინდობილობის გაუქმების შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განუხორციელებია განმცხადებელს.

3.3. ეთიკის კომისიამ 2009 წლის 22 მარტს განხილულ საქმეზე #3040/09 დაადგინა, რომ ადვოკატმა ZZ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ყოვლად უსაფუძვლოდ, უარი თქვა კლიენტის XX დაცვაზე და არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, რითაც დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეოთხე ნაწილი. განმცხადებლის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა ვერ წარმოადგინა კლიენტთან მომსახურების ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლის დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ, სახაზინო ადვოკატად მისი დანიშვნის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტი, რადგან ადვოკატის მტკიცებით, სწორედ ეს გარემოება არ აძლებდა მას საშუალებას, გაეგრძელებინდა კლიენტის დაცვა."

გ) ადვოკატის ანაზღაურების რეგულირება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ

ზემოაღნიშნული დოკუმენტი პირდაპირ არ არეგულირებს ადვოკატების ანაზღაურებას, თუმცა ადვოკატისა და იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მოუწოდებს პროფესიულ გაერთიანებებს, ყურადღება მიაქციონ ღარიბთა და სხვა სოციალურად დაუცველ პირთა დახმარებას, რათა მათ საშუალება მიეცეთ განამტკიცონ თავიანთი უფლებები და საჭიროებისამებრ მოითხოვონ ადვოკატის დახმარება[75].

2. ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაცია

მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა პირის მიერ დამოუკიდებელი ადვოკატების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა. ადვოკატი უნდა იქნეს წაქეზებული, გაუწიოს იურიდიული მომსახურება პირებს, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან.[76]

3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

კოდექსი განსაზღვრავს, რომ ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი[77]. ასევე თუ ადვოკატი მისი ჰონორარის ანგარიშზე და/ან ხელზე გადახდას მოითხოვს, ამგვარმა გადახდამ არ უნდა გადააჭარბოს ჰონორარის ზომიერ ოდენობას და შესაბამის სავარაუდო გადახდას.[78]

4. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

4.1. ეთიკის კოდექსი ადგენს, რომ ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი გა-ნაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის და გამომდინარეობდეს საქ-

75. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პარაგრაფი 4.
76. ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის Rec(2000)21 რეკომენდაციის IV პრინციპის 1 და 2 პარაგრაფები.
77. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.4.1. მუხლი
78. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.5 მუხლი

მის სირთულიდან, მოცულობიდან, საქმის შესრულების ხანგრძლივობიდან, კვალიფიკაციიდან, ხოლო ქონებრივი დავების შემთხვევაში დავის საგნის (სარჩელის ფასის) ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან და ა.შ.[79]

4.2. საქართველოს ეთიკის კოდექსის რეგულირება უფრო კონკრეტულია, ვიდრე CCBE კოდექსი, სამართლიანობას და ზომიერებას განმარტავს ისე, რომ ის კავშირში უნდა იყოს ერთი მხრივ, ადვოკატის კვალიფიკაციასთან, მეორე მხრივ, საქმესთან: მასზე სავარაუდოდ დასახარჯ დროსთან, საქმის სირთულესთან და დავის ღირებულებასთან. ამასთან, კოდექსში მოცემული ჰონორარის განსაზღვრის ფაქტორები ამომწურავი არ არის. ჰონორარის რეგულირება ეთიკის კოდექსში ეხმიანება გაეროს პრინციპებს, რომელთა მიხედვით ადვოკატთა ასოციაცია უნდა ზრუნავდეს სოციალურად დაუცველი პირებისთვის საადვოკატო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, რასაც ხელს შეუწყობს ჰონორარის ზომიერების სტანდარტის მოთხოვნა, თუმცა, საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი არ მოუწოდებს ადვოკატებს, თავისი დროის გარკვეული ნაწილი გამოყონ სოციალურად დაუცველი პირების „pro bono" (უფასო) მომსახურებისთვის.

5. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

5.1. აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიას ჯერ არ უმსჯელია საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ზომიერების შესახებ, შესაბამისი საჩივრის არარსებობის გამო, თუმცა, მას აქვს მიღებული გადაწყვეტილება კლიენტისთვის ჰონორარის ოდენობის ჯეროვანი წესით შეუტყობინებლობასთან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობს ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტიდან, რომ თუ ხელშეკრულება წერილობით იდება, მისი ერთი ასლი აუცილებლად უნდა გადაეცეს კლიენტს.

5.2. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N066/10 დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ეთიკის კოდექსის ზემოაღნიშნული მე–8 მუხლის მე–8 ნაწილის მოთხოვნა, როდესაც კლიენტს არ გადასცა ხელშეკრულების ასლი, საიდანაც კლიენტს, სხვა ხელშეკრულების პირობებთან ერთად, შეეძლო ინფორმაციის მიღება ჰონორარის ოდენობისა და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ. ეთიკის კომისიამ კერძოდ აღნიშნა:

„...წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო სამსახურის გაწევის შესახებ ხელშეკრულებების ასლები აუცილებლად უნდა იყოს მიწოდებული კლიენტისათვის დადებისთანავე, ან თუ არსებობს ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება ამ გარემოების აღმოფხვრისთანავე. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი, რომ მხარეები ადვოკატის თანდასწრებით გაეცნენ ხელშეკრულებას და ამის შემდგომ მოაწერეს ხელი, რადგან შეუძლებელია, რომ მხარემ გონივრულად გაითვალისწინოს, რომ მეორე მხარე, მით უმეტეს, თუ ის მომხმარებელია, ზეპირად დაიმახსოვრებს რამდენიმე გვერდიან ხელშეკრულებას, რომელიც როგორც წესი, შეიცავს სტანდარტულ პირობებს. რომელებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისთვის სამოქალაქო კოდექსის 343.1.ა ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული ნორმა კოლეგიის მიერ განიმარტება იმგვარად, რომ ადვოკატის კლიენტისთვის არამარტო ხელშეკრულების დადებისას, არამედ მისი მოქმედების განმავლობაშიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

...საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება."

ეთიკის კომისიამ დაადგინა სტანდარტი, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ასლი, თუ ის დაიდო წერილობითი ფორმით, უპირობოდ უნდა გადასცეს კლიენტს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა შესაბამისი მოთხოვნა კლიენტისგან.

5.3. ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც კლიენტი ითხოვს ადვოკატისთვის გადახდილი ჰორონარის დაბრუნებას, ასევე, როცა საქმეში დასტურდება ადვოკატის მიერ ჰონორარის მიღება უცხოურ ვალუტაში. ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული საკითხები

79. საქართველოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–8 ნაწილი

არ შედის შედის მის კომპეტენციაში. ეთიკის კომისიის 2011 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 026/11 აღნიშნა, რომ:

„.. ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების საფასურის დაბრუნების თაობაზე, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას და არის სასამართლოს განსჯადი.“

ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ ადვოკატებმა ჰონორარის მიღებისას უნდა დაიცვან ეროვნული ვალუტის გამოყენების წესები:

„მ. კ. და ადვოკატ ე. წ. შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ორდერის საფასური განსაზღვრულია 500 დოლარის ოდენობით, ამასთან, ადვოკატ ე. წ. განმარტებით, მან მ. კ. მიიღო ჰონორარი დოლარში. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ ე. წ. მიერ შესაძლოა დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 216-ე მუხლი (საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა) ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1531-ე მუხლი (საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა). საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს.“

დ) კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ

გაეროს პრინციპები ადგენს, რომ კლიენტის წინაშე ადვოკატთა მოვალეობაა, რომ რჩევა მისცეს კლიენტს უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში სამართლებრივი სისტემის მოქმედების შესახებ.[80]

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2000) 21

ადვოკატების მოვალეობები კლიენტების მიმართ უნდა მოიცავდეს მათი კანონიერი უფლებებისა და ვალდებულების შესახებ კონსულტაციას, საქმის სავარაუდო რეზულტატის და შედეგების, ისევე, როგორც ფინანსური ხარჯების შესახებ ჩათვლით.[81]

3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

კოდექსი ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას რეგულარულად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ.[82]

4. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

4.1. ეთიკის კოდექსი ადგენს, რომ ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.[83] შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი ეთიკის კოდექსით უფრო დაბალია ევროგაერთიანების ადვოკატთა კოდექსთან შედარებით, რომლის თანახმადაც ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს რეგულარულად, კლიენტთან შეთანხმების მიუხედავად. ეთიკის კოდექსში არაფერია ნათქვამი, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება, თუ კლიენტთან შესაბამისი შეთანხმება არ არსებობს.

5. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

5.1. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატსა და კლიენტს ინფორმაციის მიწოდების წესი ხშირად არ აქვთ ხელშეკრულებით დარეგულირებული, ან ხელშეკრულება ზეპირია და გართულებულია შესაბამისი ფაქტობრივი გარემოების დადგენა, ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას აკისრებს მაშინაც, როდესაც საქმის გარემოებებით შესაბამისი შეთანხმება კლიენტთან არ არსებობს ან ბუნდოვანია. ეთიკის კომისიამ საქმეზე # 020/10 2010 წლის 27 სექტემბრის

80. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პარაგრაფი 13.ა).
81. ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის Rec(2000)21 რეკომენდაციის III პრინციპის 3.ა პარაგრაფი
82. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.1.2 მუხლი
83. ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი

გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ:

„ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები.“

5.2. ეთიკის კომისია თავის პრაქტიკაში დიდ მნიშნელობას ანიჭებს ადვოკატის მიერ კლიენტის ჯეროვნად ინფორმირებულებას და ეთიკის კოდექსით დადგენილი მოვალეობების დარღვევად მიიჩნევს არა მარტო კლიენტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობას, არამედ მისთვის არსწორი ინფორმაციის მიწოდებასაც. 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N074/10 ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ:

„ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. განხილვის კოლეგიის აზრით, ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ... საქმის მსვლელობის თაობაზე ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას უთხრა, რომ მისი სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული და ელოდებოდა პროცესის ჩანიშვნას. კომისია განმარტავს, რომ კლიენტისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.“

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას უკავშირებს კლიენტისთვის შესაძლებლობის მიცემას, რომ ისიც დაუკავშირდეს ადვოკატს და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია საქმის მსვლელობის და შედეგების შესახებ. უფრო მეტიც, კომისიამ რწმუნებულების ვადის ამოწურვა არ მიიჩნია ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებულობის ვალდებულების გათავისუფლების საფუძვლად, როდესაც მან რწმუნებულების ვადის ამოწურვის მიუხედევად, ჩაიბარა სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე. ზემოაღნიშნულ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ : „...ადვოკატი მუდმივად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას. მოცემულ საქმეში, საჩივრის ავტორი გამოთქვამს პრეტენზიას, რომ იგი ვერ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას, რამაც შეუზღუდა საქმის მსვლელობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

კომისია განმარტავს, რომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, ადვოკატმა B–მ პირადად ჩაიბარა ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება და კლიენტისთვის არ უცნობებია ამის თაობაზე, ამასთან, იგი ვალდებული იყო ეცნობებინა კლიენტისათვის ხარვეზის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მის რწმუნებას უკვე ვადა ჰქონდა გასული, ეს გარემოება ადვოკატ B–ს არ ათავისუფლებდა ვალდებულებისაგან, ინფორმაცია მიეწოდებინა კლიენტისათვის.“

5.3. ეთიკის კომისიამ იმსჯელა შემთხვევაზე, როდესაც ადვოკატი კლიენტის ინფორმირების გარეშე მონაწილეობს ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებაში, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს წინაშე ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და შედეგად ვეღარ აწვდის მის კლიენტს სრულ ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 057/10 დაადგინა, რომ:

„ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ. კლიენტი ენდობა ადვოკატს და ადვოკატმა უნდა გაამართლოს ეს ნდობა. ... ადვოკატს, მას შემდეგ, რაც ის დათანხმდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე, შესაბამისი კანონმდებლობით დაეკისრა ასეთი ღონისძიების თაობაზე კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მათ შორის კლიენტისგან, თუმცა რადგან ამავდროულად ის აგრძელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, მას კვლავაც ჰქონდა ვალდებულება კლიენტისთვის მისი საქმიდან გამომდინარე, ყველა სახის ინფორმაციის მიწოდების

ვალდებულება. შესაბამისად, ადვოკატმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის გაცემით, იმ პირობებში, როცა კლიენტი ამის თაობაზე არ იყოს ინფორმირებული, თავი ჩაიყენა კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რომელიმე მოთხოვნის დარღვევის რეალობის წინაშე. კონკრეტულ შემთხვევაში მან დაარღვია „ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა არ უნდა ჩაიყენოს თავი ისეთ მდგომარეობაში , როდესაც ის ვერ შეასრულებს კლიენტის ინფორმირებულობის ვალდებულებას:

„...ზოგადად ადვოკატის მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, თუ დაცულია ორი წინაპირობა: 1. ასეთი მონაწილეობა არ უნდა ხდებოდეს კონტრაქტის საფუძველზე (იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 16-ე მუხლის მე-3 ნაწილი), 2. თუ ასეთი ღონისძიების განხორციელებასთან ამავდროულად ხდება კლიენტის დაცვა ან წარმომადგენლობა, ეს უნდა განხორციელდეს კლიენტის ინფორმირებით, კანონით დადგენილი წესით და ადვოკატი ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას უნდა დათანხმდეს კლიენტის თანხმობის მიღების შემდეგ ან შეწყვიტოს კლიენტის დაცვა, თუ ამის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წინაპირობები არსებობს და მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება „ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6- მუხლის მეორე ნაწილის დარღვევა (ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება), რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში."

ე) დავის მინიმალური დანახარჯით დასრულების ვალდებულება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ

გაეროს პრინციპებში არ არის დაკონკრეტებული ადვოკატის ვალდებულება დავის მინიმალური დანახარჯით დასრულების შესახებ და მხოლოდ ზოგადი დანაწესით შემოიფარგლება, რომლის თანახმადაც ადვოკატი ვალდებულია დაეხმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად.[84]

2. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ევროგაერთიანების ადვოკატთა კოდექსის თანახმად, ადვოკატი ყოველთვის უნდა იღვწოდეს მიაღწიოს კლიენტის დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას და შესაბამის ეტაპებზე კლიენტს უნდა ურჩიოს მორიგების და/ან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ძიების მიზანშეწონილობა.[85]

3. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება.[86]

4. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N066/10 დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ეთიკის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი, როდესაც კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, არ ურჩია კლიენტს დავის მორიგებით დამთავრება:

„... სხდომის ოქმით (გვ.2) მომჩივნის წარმომადგენელი კატეგორიული წინააღმდეგია მორიგებისა, ანალოგიურ პოზიციას აფიქსირებს აგრეთვე ის აღნიშნულ სხდომის ოქმში (გვ.6), რაც დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ დაირღვა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის მოთხოვნები და ადვოკატმა უსაფუძვლოდ, საქმეში არსებულ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, უარი თქვა მორიგებაზე და ასევე კლიენტს არ ურჩია საქმის მორიგებით დასრულება. მართალია, მოცემულ შემთხვევაში პირდაპირი მტკიცებულებებით არ დასტურდება მორიგებაზე უარის თქმა განპირობებული იყო უშუალოდ ადვოკატის გადაწყვეტილებით, თუ ეს წარმოადგენდა მხარის პოზიციას, მაგრამ მორიგებაზე უარის თქმამ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებითად დააზარალა მხარის პოზიცია."

---

84. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პარაგრაფი 13.ბ).
85. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.7.1 მუხლი
86. ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი

3) კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ

კლიენტის წინაშე ადვოკატის მოვალეობაა დაეხმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად.[87]

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2000) 21

ადვოკატების მოვალეობები კლიენტების მიმართ უნდა მოიცავდეს სამართლებრივი ქმედების განხორციელებას მათი კლიენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, პატივისცემისა და რეალიზაციის მიზნით.[88]

3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ადვოკატმა კლიენტის კონსულტაცია და წარმომადგენლობა დაუყოვნებლივ, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა განახორციელოს. მან პირადი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მიღებული მითითებების შესრულებაზე.[89]

4. საქართველოს პროფესიული ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი ადგენს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.90

5. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

5.1. ეთიკის კოდექსის ეს ზოგადი დებულება ეთიკის კომისიას განმარტებული აქვს რამდენიმე გადაწყვეტილებაში. 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე 074/10 ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ:

„...ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში სასამართლოს მიერ სარჩელზე დადგენილი ხარვეზის შევსება და თუ ასეთი ხარვეზის შევსება კლიენტის ჩართულობას მოითხოვს, მაშინ კლიენტის დროული ინფორმირება ხარვეზის შევსების საჭიროების თაობაზე“.

5.2. ეთიკის კომისიამ, 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N066/10 ასევე განმარტა, რომ

„საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოშიწარდგენისათვის.“

5.3. ადვოკატის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა და ასევე კლიენტის საწინააღმდეგოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ამის თაობაზე არსებობდა კლიენტის ნება, ეთიკის კომისიას მიაჩნია კლიენტის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ დაცვად91. თავის მოსაზრებაში კომისია ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, საქმეში MAĐER v. CROATIA (განაცხადის # 56185/07, 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება), კლიენტის განცხადებით ქმედითი დაცვის განსახორციელებლად ადვოკატი სათანადოდ არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ვალდებულებების არასათანადო შესრულებაზე, რაც დაცვის უფლების დარღვევად შეაფასა.

87. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პარაგრაფი 13.ბ).
88. ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის Rec(2000)21 რეკომენდაციის III პრინციპის 3.გ პარაგრაფი
89. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.1.2 მუხლი
90. ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი
91. ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს N030/11 გადაწყვეტილება

5.4. კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც მომსახურება შეფასდა არაკეთილსიდისიერად, არის შემთხვევა, როდესაც ადვოკატი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ ახორციელებს დაცვას. 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე 022/11, ეთიკის კომისიამ აღნიშნა:

„...ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი; სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია თვლის, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად. .... ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება, შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე“.

5.5. მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის კომისია ადვოკატის მიერ გაწეული მომსახულრების კვალიფიკაციის შეფასებისას არ აფასებს გაწეული მომსახურების ხარისხს, დაცვის ტაქტიკას და სტრატეგიას, რადგან ის ეყრდნობა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვის გადაწყვეტილებას (განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten)“, რომლის თანახმად: *„ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ ითვალისწინებს მისი კვალიფიკაციის ხარისხს”.*

5.6. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე 074/10 განმარტა, რომ:

„...მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, თუმცა, ადვოკატის მიერ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ის გარემოება, რომ ადვოკატი სარჩელის მომზადებისა და სასამართლოში შეტანით შემოიფარგლება.“

5.7. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსის დებულება არ შეიცავს ადვოკატის მიერ კლიენტის მითითებების შესრულების ვალდებულებას, როგორც ეს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსშია განსაზღვრული, ეთიკის კომისიამ აღნიშნული განიხილა, როგორც წარმომადგენლობის კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულების ნაწილი და 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N066/10 განმარტა, რომ:

„...ადვოკატის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ კლიენტმა მიაწოდა მას ინფორმაცია საქმეზე სხვა სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, რომელიც დადებითად იმოქმედებდა მის საქმეზე, ასევე მიუთითა მხარეები. მართალია xx-ს ადვოკატისათვის კონკრეტულად არ უცნობებია გადაწყვეტილების მიღების ზუსტი თარიღი, მაგრამ ადვოკატს არანაირი კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებია, მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ადვოკატმა არ მოიმოქმედა არაფერი ამ მტკიცებულების მოსაპოვებლად, არ გაითვალისწინა კლიენტის მოთხოვნა, რომელიც მიუთითებდა რომ აღნიშნულ დავაზე ძველ გადაწყვეტილებას საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.“

5.8. ეთიკის კომისიის პრაქტიკის შესაბამისად, ადვოკატის არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მას აქვს გავლილი ტესტირება და მოპოვებული აქვს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება, კერძოდ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე # 017/11 ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ: *„ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია*

ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით" ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ზ. არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას სამოქალაქო საქმეზე, რითაც რისკის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების დაცვა. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით."

თავი VII ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან და მსგავსი ფუნქციის ორგანოებთან

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ

1.1. გაეროს ძირითადი პრინციპები პირდაპირ არ არეგულირებს ადვოკატის ურთიერთობას სასამართლოსთან და მსგავის ფუნქციის ორგანოებთან, მაგრამ განსაზღვრავს ადვოკატის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომელიც ასევე მოიცავს მითითებას, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიულ ვალდებულებებზე სასამართლოს მიმართ, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას.

1.2. გაეროს ძირითადი პრინციპებით, [92] ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად. ადვოკატებმა, მათი კლიენტების უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების ინტერესების ხელშეწყობისას, უნდა განამტკიცონ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და ყოველთვის უნდა იმოქმედონ თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად.

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2000) 21

ადვოკატმა პატივი უნდა სცეს სასამართლო ხელისუფლებას და განახორციელოს მისი საქმიანობა სასამართლოს წინაშე ისეთი მანერით, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ სამართლებრივ ან სხვა სახის წესებსა და პროფესიულ სტანდარტებს. ადვოკატის მიერ მისი საქმიანობის განხორციელებისაგან ნებისმიერი სახით თავის შეკავებამ თავიდან უნდა აიცილოს კლიენტის ინტერესების ან სხვა პირების, რომელთაც მისი მომსახურეობა ესაჭიროებათ, დაზიანება.[93]

3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

3.1. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით პირდაპირაა განსაზღვრული ადვოკატის სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხი; ამ მხრივ ეროვნული პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადვოკატს სასამართლოსთან ან მსგავი ფუნქციის მატარებელ ორგანოსთან ურთიერთობის საკითხში ანალოგიურ რეგულაციებს უწესებს და შეესატყვისება ევროგაერთიანების ქცევის კოდექსით დადგენილ კრიტერიუმებს.

3.2. სასამართლოებთან ურთიერთობის საკითხს არეგულირებს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, რომლის თანახმად „ადვოკატი, რომელიც იმყოფება ან მონაწილეობს საქმეში სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე რომელიმე წევრ სახელმწიფოში, ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედი ქცევის წესები".[94]

3.3. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით[95] „სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად, მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად.

---

92. გაეროს ძირითადი პრინციპები პ.12,14
93. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC 2000) 21 ადვოკატთა პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ.) პრინციპი III – ადვოკატის როლი და მოვალეობებ პ.4
94. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი – სასამართლოში ქცევის მოქმედი წესები, მუხლი 4.4.1..
95. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი – ქცევა სასამართლოში მუხლი 4.4.3

3.4. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით96 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას, იშვიათად ანუ არამუდმივად -არაპერმანენტულადაც კი.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

4.1. სასამართლომ განიხილა ადვოკატის ურთიერთობის საკითხი სასამართლოსთან და მსგავსი ფუნქციის ორგანოებთან დაადგინა, რომ დაცვის უფლების განხორციელებისას ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დაუშვებლად მიიჩნევს, ადვოკატის მიერ, დაცვის უფლების განხორციელების საფუძვლით ჩადენილ ნებისმიერი სახის უკანონო მოქმედებას. განაცხადი #11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებელად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს. სასამართლო მიიჩნევს, რომ ის გარემოება, რომ პირი მოქმედებდა თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში. ამავე საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ნებისმიერი სანქცია, რომელიც დაეკისრება პირს დაცვის განხორციელების პროცესში ჩადენილი არაკანონიერი ქმედებისათვის, უნდა იყოს პროპორციული.

4.2. აღსანიშნავია აგრეთვე საქმე X v Sweatzerland , განაცხადი #9/27/80. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურვავს ბრალდებულს უფლებით, მოსთხოვოს თავის ადვოკატს ისეთი დაცვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და შესაბამისად, არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელების პროცესში.

4.3. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ Claudel v Austria" დაადგინა, რომ პროცესის მონაწილე მხარეებმა, პატივი უნდა სცენ კანონით დადგენილ წესებს, რომელიც მოქმედებს სასამართლოში, მათ შორის უნდა დაიცვან წესრიგი სასამართლო დარბაზში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განაცხადა, რომ „პროცესის მხარეებმა პატივი უნდა სცენ კანონით დადგენილ პროცედურულ წესებსა და სხვადასხვა სახის ფორმალობებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მათ შორის სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვას."

4.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით (განაცხადი #73797/01 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) შეფასება მიეცა ადვოკატის მოქმედებას სასამართლოში, სასამართლო შეეხო გამოხატვის ფარგლებს, ასევე ადვოკატის მიმართ სანქციის გამოყენების პირობებს. ადვოკატი წარმოადგენდა მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის ინტერესს სასამართლოში, დაცვის განხორციელებისას მოსამართლემ მას დაკითხვა შეაწყვეტინა, რასაც მოჰყვა ადვოკატის ყვირილი და მუქარა სასამართლოს მიმართ. კვიპროსის სასამართლომ ადვოკატს წესრიგის დარღვევისათვის 5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

რასაც წინ უძღოდა ფაქტი, რომ მოსამართლემ ადვოკატს დაკითხვა შეაწყვეტინა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგiნა, რომ კვიპროსის სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, ასევე, ჩარევას გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი სასამართლო ხელისუფლების დაცვის სახით. სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა აღნიშნული ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში". უფლების დაცულ სფეროში ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესაც დგას „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება". ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალურ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი წარმოადგენს შუამავალს

96. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი –მუხლი 4. 4.5

ხალხსა და სასამართლოს შორის. ადვოკატთა მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელების პროცესში და საჯარო ნდობას გაამართლებენ. მართალია, ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. მით უფრო, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში, არ არის შეუზღუდავი და გარკვეული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა, დაცული უნდა იქნეს სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ტიპის სასჯელი (დაპატიმრება 5 დღით) არაპროპორციული იყო და შესაძლოა მომავალში ჰქონოდა „გამყინავი ეფექტი" ადვოკატების მიერ თავიანთი მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან არაპროპორციული სასჯელი დაეკისრა ადვოკატს.

4.5. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Handyside v UK (განაცხადი #5493/72; 1976 წლის 7 დეკემბერის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად საფუძველსა და თითოეული ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან პირობას. გამოხატვის თავისუფლება გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი ინფორმაციისა და იდეების მიმართ, რომელიც სასურველია საზოგადოებისთვის, არ მიიჩნევიან შეურაცხმყოფელად ან რომელთა შეფასებაც საზოგადოების მიერ ხდება გულგრილად, არამედ ასევე იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფენ, შოკში აგდებენ და აწუხებენ სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე სექტორს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება."

4.6. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Skalka v Poland (განაცხადი #43425/98; 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში, წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისგან."

4.7. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kyprianou V Cyprus (განაცხადი #73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა, დაცული უნდა იქნეს სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის. ადვოკატზე დაკისრებული სანქცია უნდა იყოს შეზღუდვის პროპორციული, რადგან ადვოკატის მიმართ განხორციელებულ ზემოქმედების ღონისძიებებს, შესაძლოა მომავალში ჰქონდეს „შემზღუდველი ეფექტი" ადვოკატების მიერ თავიანთი მოვალეობის განხორციელებისას."

5. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი

5.1. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა ქცევის წესებს სასამართლოში და სასამართლოს მსგავსი ფუნქციის ორგანოებთან. „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს".97 ამავე კანონით ადვოკატი ვალდებულია, „კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები," ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, „არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები"98, თავისი პროფესიული ფუნქციის, საადვოკატო მომსახურეობის განხორციელებისას, ადვოკატი შებოჭილია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, ის ვალდებულია პატივი სცეს პროცესის მონაწილე სხვა პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა, აღნიშნული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

97.„ადვოკატთა შესახებ „ საქართველოს კანონი მ.1, პ.2

98.„ადვოკატთა შესახებ „ საქართველოს კანონი მ.5, პ.ა,ბ,გ.

5.2. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები, თავისი პროფესიული ვალდებულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, რაც არ გულისხმობს, ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას მხოლოდ სასამართლო სხდომის დროს, პროცესის მონაწილე პირთა მიმართ. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატის ეკისრება აგრეთვე სასამართლოს მგავსი ფუნქციის მატარებელ ორგანოებში და მისი მონაწილეობით ჩატარებული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას, ამ პროცესის მონაწილე სუბიექტების მიმართ.

6. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატის სასამართლოსთან ურთიერთობის პროცედურას, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს"99 აღნიშნული გულისხმობს, როგორც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვას.

7. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

7.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე #010/10, დაადგინა, რომ ადვოკატმა უგულვებელყო და პატივი არ სცა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესებს, რითაც მის მიერ დარღვეული იქნა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, ასევე „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე - 5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი. ადვოკატის განმარტებით, მისი მოქმედება განპირობებულ იყო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მოთხოვნებით, აღნიშნული მუხლი ეხება ადვოკატის დაცვის გარანტიებს, რომლის საფუძველზეც „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

გადაწყვეტილებით დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ აღიძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ წარმოდგენილი კერძო დადგენილების საფუძველზე. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ადვოკატი ითხოვდა მოსამართლის ქმედებათა გამო, პრეტენზიის შეტანას სასამართლოს სხდომის ოქმში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 437-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსამართლე ადვოკატს აძლევდა შენიშვნებს, ხოლო ადვოკატი არ ემორჩილებოდა მის მითითებებს, საბოლოოდ იგი მანდატურის დახმარებით გაძევებული იქნა სხდომის დარბაზიდან; ადვოკატმა სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ არ გაასაჩივრა სასამართლო სხდომის ოქმი. ადვოკატის განმარტებით, მისი შენიშვნები სასამართლოზე მიზნად ისახავდა უშუალოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვას.

მოცემულ სადაო გარემოებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ „ობიექტურად ადვოკატის მიერ გამოთქმული შენიშვნებს და მოსამართლის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობას, შესაძლოა გამოეწვია პროცესის მიმდინარეობისადმი სირთულის შექმნა, თუმცა, ადვოკატის მიერ კონკრეტულ საპროცესო ნორმაზე დაყრდნობისა და ადვოკატის მიერ გამოთქმული შენიშვნების შინაარსის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ ადვოკატი სუბიექტურად მოქმედებდა იმ რწმენით, რომ იცავდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილე სხვა პირთა უფლებები". ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი ადვოკატს ავალებს „დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს".

მოცემულ საქმეზე კომისიამ იმსჯელა ერთის მხრივ, ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სასამართლო დარბაზში და მეორეს მხრივ, სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის თაობაზე; ასევე „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლზე, , რომელიც შეეხება ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან

99. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მ.9.1.

ადმინისტრაციულ ორგანოს, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე".

ეთიკის კომისიამ მიჩნია „....მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს. ადვოკატი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის თაობაზე და თუ გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია, გამოიყენოს კანონით დადგენილი საპროცესო საშუალებები (გადაწყვეტილების გასაჩივრების, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების და სხვა კანონიერი მექანიზმი). კოლეგიას მიაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით". კომისიის აზრით, კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად და ამ მიზნით, სასამართლო დარბაზში არ დაარღვიოს წესრიგი. სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა და სასამართლოს მითითებისადმი დაუმორჩილებლობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს კლიენტის ინტერესების დაცვით. თუნდაც ადვოკატი დარწმუნებული იყოს, რომ მისი ქმედება შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობასთან. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევა და მისი ქმედებები არ შეიძლება გამართლებული იქნეს კლიენტის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ადვოკატის სუბიექტური განცდა, რომ ის პროცესზე მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება."

მოცემულ საქმეზე ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კლიენტის ინტერესი არ არის აბსოლუტური და ის არ გულისხმობს მისი დაცვისას კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფას და იგნორირებას. მართალია, ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.

7.2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაიის ეთიკის კომისიამ საქმეზე #043/10 03.11.2010. დისციპლინური დევნა განახორციელა ადვოკატზე ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით. საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო ადვოკატის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ადვოკატის ხელით შედგენილი განცხადებები და მასში მოყვანილი გამონათქვამები, ადვოკატი სასამართლოს მიმართ წარდგენილ განცხადებებში იყენებდა შემდეგ გამონათქვამებს: „გთხოვთ ჩამაბაროთ გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება ბოდვით და ავადმყოფურ მოსაზრებებს", „თქვენ პრობლემები გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო სხდომაზე ავლენთ ნერვული გამოხტომებით", „თქვენ ბრძანდებით აგრესიული და თავშეუკავებელი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს და იმის გამო, რომ საფრთხეს ვგრძნობ თქვენგან, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას არ ვიკადრებ", „გაკვირვებული ვარ თქვენი უცნაური და ავადმყოფური ტონით ჩემდამი, რაც აშკარა უპატივცემულობაა", „ჩემი ღრმა რწმენით გადაწყვეტილება ეფუძნება ალოგიკურ, ავადმყოფურ და ბოდვით მოსაზრებებს, რაც დაკვეთით არის მიღებული".

კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები, ასევე, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. სასამართლოსადმი წარდგენილ განცხადებებში ადვოკატის მიერ აშკარა უპატივცემულობა არის გამოხატული, კერძოდ: მათში გამოთქმულია აშკარად შეურაცხმყოფელი და არაეთიკური შეფასებები, ასევე მიუღებელი

ფორმით არის მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილებები. კომისიის შეფასებით, ადვოკატის პოზიციის ამგვარი სახით დაფიქსირება ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსს, კერძოდ, ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი. კომისიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადვოკატის მიერ მოსამართლეთა მიმართ გამოთქმული მოსაზრებები არ იყო განპირობებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ქმედებადაარწარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განხორციელებულ დაცვის პროცესუალურ საშუალებას. კომისიამ მიიჩნია, სასამართლო პროცესზე ადვოკატის გამოუცხადებლობა საკუთარი, პირადი შეხედულებებისა და მოსაზრების გამო მოსამართლეთა მიმართ, წარმოადგენს დაცვის უფლების განუხორციელებლობას და მასზე უარის თქმას. მხარეს და მხარესთან შეთანხმებით, მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს იმ ფარგლებში, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, მაგრამ ამ უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გარეშე, ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი არაეთიკური გამონათქვამების გარეშეც.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის გამონათქვამები სასამართლოსადმი უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოების ერთი წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ ადვოკატის, როგორც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, სუბიექტურ შეხედულებას, რაც არ გამომდინარეობდა კლიენტის ინტერსების პრიორიტეტულობის პრინციპიდან და გაჯერებული იყო სასამართლოსადმი არაეთიკური და მიუღებელი გამონათქვამებით, ვითარების შეუსაბამო და არაადეკვატური ფორმით გამოხატული მოსაზრებებით. კომისიამ მიიჩნია, რომ შესაძლებლია, რომ ადვოკატს მოეთხოვოს სასამართლოსთან ურთიერთობის უფრო მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მოსამართლის ქმედებისადმი პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით – ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საკითხის განხილვის ინიცირებით, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკით, თუმცა, არა არაადეკვატური, პროფესიული სტანდარტის უგულვებელმყოფელი გამონათქვამებით.

კომისიამ მიიჩნია, რომ თუ მოსამართლის მხრიდან სახეზე იყო პროცესუალური პაექრობის ფარგლების გაცდენა და ადვოკატის მიერ მოსამართლის არაეთიკური შეფასება, ადვოკატს შეეძლო, მოსამართლის შესაძლო არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით მიემართა შესაბამისი სადისციპლინო ორგანოსათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის განცხადებებს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მისი კლიენტის ინტერესებთან და ამ შინაარსის განცხადებების მიზანი იყო, მისი როგორც საზოგადოების ერთი წევრის პირადი მოსაზრებებისა და შეხედულებების დაფიქსირება კონკრეტული მოსამართლეებისადმი.

მხარეს და მხარესთან შეთანხმებით მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს იმ ფარგლებში, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, მაგრამ ამ უფლების რეალიზება ადვოკატს შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გარეშე, ადვოკატს უფლება აქვს და მოცემულ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა პროცესუალური დოკუმენტები განცხადებაში მოყვანილი არაეთიკური გამონათქვამების გარეშეც. სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მოსამართლის ქმედებისადმი პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით – ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური საკითხის განხილვის ინიცირებით, მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკით, თუმცა, არა არაადეკვატური, პროფესიული სტანდარტის უგულვებელმყოფელი გამონათქვამებით.

ეთიკის კომისიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიმართ ადვოკატს აქვს პროცესუალური კრიტიკის განხორციელების უფლება, ეს კრიტიკა უნდა იყოს ზომიერი და არა შეურაცხმყოფელი. ადვოკატი სასამართლოში ყოფნისას, ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოში დგენილ ქცევის წესებს და მოქმედება დაუქვემდებაროს კანონისა და ეთიკის

ნორმებს. ადვოკატმა კანონით განსაზღვრული ფუნქციის შესრულებისას არ უნდა გამოხატოს უპატივცემულობა მოსამართლის მიმართ. ადვოკატის მიერ შეურაცხმყოფელი ფორმით განხორციელებული პროცესუალური მოქმედება, სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ ასევე არ უნდა იქნეს ახსნილი და შეფასებული, როგორც კლიენტის ინტერესი, რადგან კანონით და ეთიკის ნორმებით ადვოკატის ვალდებულებაა დაიცვას კლიენტის კანონიერი ინტერესი, რაც არ შეიძლება იყოს პროცესის მონაწილე სხვა პირთა შეურაცხყოფა. კლიენტის ინტერესის დაცვა არ გულისხმობს არაკანონიერი მექანიზმის გამოყენებას, შესაძლოა კლიენტმა არ იცოდეს საქმის სასამართლოში წარმართვის პროცედურა და მისი მოთხოვნები არ შეესატყვისებოდეს კანონის მოთხოვნებს, ადვოკატი ვალდებულია, განუმარტოს მას დავის პროცესუალური, კანონისმიერი გადაწყვეტის გზები. საქმის წარმოებისას ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივინ სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს და საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო უარი არ უნდა თქვას პროცესში მონაწილეობაზე – პროცესუალური ფუნქციის განხორციელებაზე. აღნიშნული წარმოადგენს კლიენტის ინტერესების უგულვებელყოფას და დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმას. სასამართლოს და მოსამართლის შეუარაცხყოფა არ წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით დაცვის განხორციელების პროცესუალურ საშუალებას.

7.3. განსხვავებული შედეგი დადგა ადვოკატის სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხის შესწავლისას ეთიკის კომისიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე - 076/10.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ საქმის წარმოება დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადების ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მოსამართლის სახელზე შეიტანა შუამდგომლობა, რომელშიც შეურაცხმყოფელი ფორმით გამოხატა მოსამართლისადმი აშკარა უპატივცემულობა. ადვოკატის მიერ მოსამართლის მიმართ გამოყენებული იყო შემდეგი სახის მიმართვები „არღვევთ ადამიანის უფლებების ფიცს და სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება", „არ გაითვალისწინეთ მხარის მატერიალური მდგომარეობა და ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ" და ა.შ.

ადვოკატის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის მიზანი არ იყო სასამართლო ხელისუფლებისა და კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფა. ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მოსამართლის კრიტიკა გამომდინარეობდა მისი მარწმუნებლის ინტერესებიდან, რადგან მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის ფინანსურად ძალიან მძიმე იყო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მის კლიენტს არ ჰქონდა ჯარიმის გადახდის, არც სასამართლო განჩინების გასაჩივრების ფინანსური შესაძლებლობა, ხოლო სასამართლოსადიმი მიმართვის უფლების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული არ უნდა იყოს დაკავშირებული ფინანასურ სირთულეებთან.

ეთიკის კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ „ადვოკატის შუამდგომლობაში მოცემული მიმართვები ხვდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაძლო დარღვევას, რომლის თანახმად, ადვოკატმა პატივი უნდა სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს. კომისიამ მიიჩნია, , რომ ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე, იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების" გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებთ.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის მიხედვით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურებოდა სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ პრობლემებზე აქცენტის გაკეთებას და კლიენტის ინტერესების დაცვას. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს ადვოკატის ინტერესს, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები სამართალწარმოების შესაძლო ხარვეზების თაობაზე, რასაც შესაბამისად ექნება „შემზღუდველი ეფექტი". ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობაში მოცემული მწვავე და კრიტიკული განცხადებები, რომელიც შესაძლოა არ არის მოსაწონი და მისაღები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას, ადვოკატის მიერ შუამდგომლობაში გაკეთებული განცხადებები, გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე, სარგებლობდა სამართლებრივი

დაცვით. ეთიკის კომისია დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკას.

7.4. ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #2317/12/06 მიუთითა, რომ „სასამართლო სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ რგოლს, რომელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში და რომელსაც მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო, განსაკუთრებული თმენის ვალდებულება გააჩნია საზოგადოების წევრებისა და მათ შორის ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცხყოფა. სასამართლო შეზღუდვას საფუძვლად შეიძლება დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განზრახ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით."

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მოსაზრებები შეაფასა, როგორც სასამართლოს მძაფრი და ემოციური კრიტიკა, რაც დაკავშირებული იყო კონკრეტული საქმის გარემოებებთან, მიმართული იყო კლიენტის ინტერესების დაცვისაკენ და გადაწყვიტა, რომ ვინაიდან ადვოკატის ქმედებაში არ შეიმჩნეოდა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის ნიშნები, ადვოკატის ქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც სასამართლოს მიმართ გამოთქმული მართლზომიერი კრიტიკა, რომელიც არ გასცდა პროცესუალური პაექრობის ფარგლებს, მიზნად არ ისახავდა სასამართლოს (მოსამართლის) უპატივცემულობასა და ემსახურებოდა კლიენტის ინტერესებს. მოცემულ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ შეაფასა სწორედ ადვოკატის მიერ გამოთქმული კრიტიკის ზომიერების ფარგლები და მისი გამოხატვის ფორმა სასამართლოს მიმართ, რაც არ იქნა მიჩნეული სასამართლოში ადვოკატის ქცევის სტანდარტის დარღვევად.

7.5. საინტერესოა ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის 03 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე #075/10. მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება ადვოკატის მიერ სასამართლო შენობის ეზოში წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციას, რომლის დროსაც ადვოკატმა შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ

„...ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, შესაბამისად, კოლეგიამ გაითვალისწინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილისათვის შეურაცხყოფის მიყენება არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება ადვოკატის ვალდებულებას ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება და არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას."

ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მოტივირებისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S. and Z v Switzerland (განაცხადი #10414/83, 1984 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა". შესაბამისად, განხილვის ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ შესაძლოა დაუკარგოს საზოგადოებას ნდობა ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლების ეთიკურობის მიმართ."

მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატს ვალდებულება, დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, ეკისრება, როგორც სასამართლო შენობაში, ასევე მის გარეთაც, ის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და გარკვეული ქმედებების შეფასებისას, ვალდებულია პატივი სცეს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს და ღირსეულად დაიცვას კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები.

თავი VIII – ადვოკატებს შორის ურთიერთობა

ა) ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის ვალდებულება

1. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ

ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.[100]

2. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

პროფესიის კორპორაციული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობას და თანამშომლობას მათი კლიენტების სასარგებლოდ და არასაჭირო სასამართლო გარჩევისა და სხვა საქციელის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც პროფესიის რეპუტაციისთვის საზიანოა. თუმცა, ზემოაღნიშნული არ ამართლებს კლიენტის ინტერესებზე მაღლა პროფესიის ინტერესების დაყენებას. ადვოკატმა წევრი სახელმწიფოების ყველა ადვოკატი, პროფესიულ კოლეგებად უნდა აღიაროს და მათ მიმართ სამართლიანად და პატივისცემით იმოქმედოს.[101]

3. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს, რომ ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას, ამასთან, პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა, კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.[102]

4. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

4.1. ეთიკის კომისიამ 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე #2743/05/07 ადვოკატის მიერ კოლეგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით სატელეფონო საუბარში გაკეთებული განცხადებები, მიიჩნია არაეთიკურად და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი დაუკავშირდა ექიმს, რომელმაც გასცა ცნობა სხვა ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და უთხრა, რომ ცნობის მიმღები ადვოკატი იმყოფება სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეშ და მას „გადაგდებული“ ჰყავს მეანაბრეები, რამაც უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბა ამ ექიმს ადვოკატზე. აღნიშნული ხორციელდებოდა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში და ადვოკატის განცხადება შეეხებოდა მისი კოლეგის პროფესიულ საქმიანობას.

4.2. ადვოკატის მიერ კოლეგის კრიტიკისას, ეთიკური სტანდარტის დარღვევაზე მსჯელობის დროს 2011 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე # 069/11, ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების გარანტია, რაც ეთიკის კომისიის პრაქტიკაში მოიცავს არა მარტო მოსამართლეთა მიმართ ადვოკატების მიერ გაკეთებულ გამონათქვამებზე, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების მიმართ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებზე. კერძოდ, ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 2317/12/06 აღნიშნა, რომ:

100. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პარაგრაფი 12.
101. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 5.1 მუხლი
102. ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის 1, 2 ნაწილები

„ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N076/10 ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ: *„გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“.*

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში საქმეზე # 069/11, ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატის საჯარო განცხადებები კოლეგის მიმართ, კერძოდ ზ.ბ.–ის საჯარო განცხადება:

„ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას აწარმოებენ, როგორც ადვოკატები რეალურად აკეთებენ განცხადებებს ან აკეთებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უფრო შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობის ჭრილში. ადვოკატების ეთიკის კოდექსის მთავარი ფუძემდებლური პრინციპი არის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, რაც ჩემი მოკრძალებული აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენიმე ადვოკატმა დაარღვია“

ეთიკის კომისიამ დაადგინა: *„ადვოკატ ზ.ბ. მიერ ახსნილი იქნა გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი და წინაპირობები, ასევე ის გარემოება, რომ სატელევიზიო კომენტარების გაკეთებისას, ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ადვოკატ ე.ბ. საჯარო მოწოდებებთან დაკავშირებით და არა კოლეგის შეურაცხყოფა.“*

ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ: *„...სატელევიზიო კომენტარებში მოცემული განცხადებები შესაძლოა არ იყოს მოსაწონი და მისაღები იმ ადვოკატთათვის, ვის მიმართაც არის მიმართული, მაგრამ ეს კომენტარები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას.“*

ბ) გასამრჯელო რეკომენდაციისთვის

1. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისთვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისთვის. ადვოკატმა არ უნდა გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს, კლიენტისთვის პირადად მისი რეკომენდირებისთვის.[103]

2. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.[104]

3. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 047/11 ფართოდ განმარტა ეთიკის კოდექსის მე–10 მუხლის მე–3 ნაწილით დადგენილი შეზღუდვა და აღნიშნა, რომ:

„ადვოკატის მხრიდან რეკომენდირების გადასახადის გადახდის აკრძალვა ეხება არა მხოლოდ გადასახდის, საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის გადახდას, არამედ აღნიშნულის დაპირებას და/ან შეთავაზებასაც.“

ზემოაღნიშნულ საქმეში ეთიკის კომისიამ დაადგინა ფაქტორბივი გარემოება, რომ ადვოკატმა ყოფილ კლიენტს შესთავაზა, რომ თუ მის გარშემო არსებობდა ადამიანი, რომელსაც ესაჭიროებოდა სამართლებრივი დახმარება, რეკომენდაცია გაეწია მისთვის, როგორც ადვოკატისთვის. ადვოკატმა აღნიშნული რეკომენდაციის სანაცვლოდ საჩივრის ავტორს აღუთქვა, რომ მიყვანილი კლიენტისაგან საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ჰონორარიდან გადაუხდიდა მას იმ თანხას, რომლის დაბრუნებასაც სთხოვდა ყოფილი კლიენტი. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ

103. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 5.4 მუხლი
104. ეთიკის კოდექსის მე–10 მუხლის მე–3 ნაწილი

„კომპენსაციის გადახდის აკრძალვა მოიცავს, რომ რეკომენდატორ პირს ადვოკატი არ უნდა დაპირდეს არანაირ ქონებრივ სარგებელს. ამ შემთხვევაში ნორმა მოიცავს არა მარტო ქმედებას არამედ ამ ქმედების დაპირებას.“

გ) ინფორმაციის კოლეგისათვის მიწოდების ვალდებულება

1. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს, რომ თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას ამ კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ. [105]

2. ეთიკის კომისიის პრაქტიკა

ეთიკის კომისიამ 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #3083/12/07 დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია კოლეგისთვის შეტყობინების ვალდებულება, როცა ის საქმეში ჩაერთო გამოძიების ეტაპზე აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს ბრალდებულის ადვოკატად, ხოლო ბრალდებულთან შეხვედრისას, მან გაიგო, რომ კლიენტს ჰყავდა სხვა ადვოკატები, გარდა ამისა, ბრალდებულს არ სურდა, რომ ადვოკატს განეხორციელებინა მისი დაცვა. ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ ადვოკატს უნდა ეცნობებინა დანარჩენი ადვოკატებისათვის დაცვის დაწყების შესახებ, რაც მან არ განახორციელა.

აღნსანიშნავია, რომ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე 044/10 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს კონფლიქტი კოლეგის ინფორმირების ვალდებულებას და კლიენტის წინაშე კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას, ასევე კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპებს შორის, რაც კონფიდენციალობის დაცვის და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ:
„...შეიძლება დადასტურდეს ადვოკატ ე. ბ. მიერ ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის ფორმალური დარღვევა, მაგრამ თავად ამ ნორმის გამოყენება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით გარანტირებულ კონფიდენციალობის პრინციპს. ...კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება გარანტირებულია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც იერარქიით უფრო მაღლა მდგომი აქტია, ვიდრე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და წინააღმდეგობრივად რეგულირებული საკითხები უნდა გადაწყდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად“.
ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ: *„კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ დაცვის განხორციელება დაიწყო კანონის და პროფესიული ქცევის ნორმების დარღვევით, შესაბამისად განხილვის კოლეგია მოკლებულია საშუალებას იმსჯელოს, გაიცა თუ არა კლიენტის მიერ ნებართვა ადვოკატ ე. ბ. განეცხადებინა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისთვის, მათ შორის ადვოკატ მ. ნ., თუმცა განხილვის კოლეგიის აზრით, კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა ასევე გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“*

105. ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის მე–3 ნაწილი

თავი IX – ზნეობრივი პრინციპები

1. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი ზნეობრივი პრინციპის შესახებ განმარტებას გვაძლევს კოდექსის პრეამბულაში, რომლის მიხედვით ის საუბრობს ადვოკატის განსაკუთრებულ როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში.[106] კანონის უზენაესობის მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, ადვოკატს განსაკუთრებული როლი აკისრია. მისი მოვალეობები არ შემოიფარგლება იმით, რომ კანონით დაშვებულის ფარგლებში პატიოსნად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობის ინტერესებს და მათ, ვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება აქვს დაკისრებული. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულია იყოს კლიენტის მრჩეველიც, აქედან გამომდინარე, ადვოკატის ფუნქცია მას მთელ რიგ იურიდიულ თუ მორალურ ვალდებულებებს აკისრებს (ხშირად ეს უკანასკნელნი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან) ესენია ვალდებულებები:

- კლიენტის წინაშე;
- სასამართლოების და სხვა ორგანოების მიმართ, რომელთა წინაშეც ადვოკატი მისი კლიენტის პოზიციას იცავს ან წარმოადგენს მას;
- ზოგადად იურიდიული პროფესიის და კერძოდ თითოეული მისი წევრის წინაშე და საზოგადოების წინაშე, რომლისთვისაც თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიის არსებობა თვით პროფესიის მიერ შექმნილი წესების მიმართ პატივისცემასთან ერთად, სახელმწიფოს ძალაუფლებისაგან და საზოგადოების სხვა ინტერესებისაგან ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2000) 21

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში ცალკე თავი არა აქვს დათმობილი ზნეობრივი პრინციპის საკითხს, როგორც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში, ზნეობრივი პრინციპების დაცვა ადვოკატის მოვალეობების თავშია განსაზღვრული, (მოვალეობები და პასუხისმგებლობები)[107]; ადვოკატება, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. barford v.nenmarq. განაცხადი #11508/85 დავიდ ფანიქ, ჯუდგესი 1987, პ105-128) ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს მიუკერძოებლობის ლეგიტიმური მიზანი, გადაწყვეტილებით ნათქვამია, რომ „სიტყვის თავისუფლებას არ უნდა დაემუქროს საფრთხე“, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება სხვადსხვა სანქციის შიშით არ მოერიდოს საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე აზრის გამოთქმას.

„.... სასამართლო ხელისუფლების კრიტიკამ არ უნდა დააფრთხოს ის, ვინც იცავს მართლმსაჯულების

106. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) – პრეამბულა
107. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი –მოვალეობები და პასუხისმგებლობები – პ.12

ინტერესებს, გამოხატვის თავისუფლება ამ სფეროში ისევე ნაყოფიერია, როგორც სხვაგან, მოსამართლეთა კრიტიკა არ დააკნინებს კანონის უზენაესობას, რადგან მას იურიდიული სისტემის ნაკლოვანებათა დაფიქსირებით შეუძლია მხოლოდ სარგებლობა მოუტანოს მართლმსაჯულებას. "

„სასამართლო ხელისუფლება მიუხედავად კოვენციით დაცული მე-10 მუხლით განსაზღვრული უფლებისა, არ შეიძლება ფუნქციონირებდეს ვაკუუმში და სასამართლოები, ისევე როგორც სხვა საჯარო დაწესებულებები, არა არიან დაცული კრიტიკისა და მონიტორინგისაგან".

„დემოკრატია, ვერ იარსებებს თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. დრომოჭმული წესების კრიტიკა ზოგჯერ გადაიზრდება მწვავე არცთუ სასიამოვნო განცხადებებში. ამ დროს გაზვიადებული და ზოგჯერ უპატივცემულო ლექსიკაც შესაძლებელია აღმოჩნდეს ის მუხტი, რომელიც საზოგადოებას გაუღვივებს ინტერესს რათა დადგეს რეფორმირების საჭიროების საკითხი და გამოჩნდეს მისი განხორციელების გზები. , ... მოსამართლეები როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში, წარმოადგენენ ობიექტს კრიტიკისა, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი, ზოგიერთი შენიშვნა მართლაც საფუძვლიანი შეიძლება აღმოჩნდეს, ზოგიერთი არაფრისმომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვაბილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისაგან. "

4. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

ზნეობრივი პრინციპების საკითხს ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 11[108] რომლის თანახმად „ურთიერთობანი, რომლებიც არ რეგულირდება, უნდა გადაწყდეს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით".

5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკა

5.1. ზნეობრივი პრინციპის დაცვის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ეთიკის კომისიის მიერ 2007 წლის 11 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება #3039/10/07; აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება საქმის წარმოებისას ადვოკატის მიერ გამოწვეულ კონფლიქტს და მის არაეთიკურ, გამომწვევ ქცევას, ასევე მის მიერ დამსწრეთათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს მოწინააღმდეგე მხარის საცხოვრებელ სახლში.

კომისიის გადაწყვეტილებით „ ... *დასტურდება, რომ ადვოკატი კონფლიქტის ადგილზე იმყოფებოდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით, რა დროსაც მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ადვოკატის პროფესიისათვის მიუღებელ ქცევას. კერძოდ, მან მონაწილეობა მიიღო მხარეთა შორის არსებულ კონფლიქტში."*

მოცემულ შემთხვევაში, კომისიამ მიუთითა ადვოკატის მიერ განხორციელებულ არაეთიკურ საქციელზე, რომელსაც ის ახორციელებდა არაეთიკური ფორმით და, კლიენტის ინტერესების დაცვის მოტივით, შეურაცხყოფას აყენებდა მოწინაარმდეგე მხარეს და თავად იყო კონფლიქტის მაპროვოცირებელი, რის შესახებაც პოლიციის მიერ შედგენილი იქნა ოქმი. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას უფლებამოსილია განახორციელოს დაცვა მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამ შემთხვევაში ადვოკატი შებოჭილია, როგორც კანონით, ასევე ეთიკის ნორმებით, რადგან დაცვის უფლების განხორციელება არ ნიშნავს სხვისი უფლების შეზღუდვას. აღნიშნული ქმედება არ შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც დაცვის სტრატეგია.

ადვოკატები აღჭურვილნი არიან მაღალი ნდობით და ითვლება, რომ ისინი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ამასთან, მხარის პოზიცია სადაო საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით გავლენას არ უნდა ახდენდეს ადვოკატის ზნეობასა და კეთილსინდისიერებაზე. საინტერესოა ამ მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმე – განაცხადი #9/27/80, X v Sweatzerland, აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაასკვნა, რომ „*დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურვავს ბრალდებულს უფლებით, მოსთხოვოს თავის ადვოკატს ისეთი სტრატეგიის*

108. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მ.11.3

შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და შესაბამისად არც ადვოკატს აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელებისას პროცესში“.

5.2. მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება #2317/12/06. საქმე ეხება ადვოკატის მიერ გაზეთით გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელიც საჩივრის ავტორის მოსზარებით „იყო შეურაცხმყოფელი სასამართლო ხელისუფლებისთვის და პირდაპირი, მოურიდებელი იერიში იყო მიტანილი სასამართლო სისტემაზე.” განცხადების ავტორის განმარტებით, ადვოკატი საგაზეთო სტატიაში, „შეურაცხყოფას აყენებს კონკრეტულ მოსამართლეებს და დასძენს: ხელისუფლებისა და პროკურატურის დაკვეთებს მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებს, ერთ-ერთ საქმეზე I ინსტანციის სასამართლომ მიიღო არაობიექტური, მიკერძოებული, ხელისუფლების დაკვეთით შესრულებული გადაწყვეტილება და უდანაშაულო ადმიანი ციხეში გაუშვა, ასეთი მიდგომა ყოვლად გაუმართლებელია პროფესიულ საქმიანობაში.” განცხადების ავტორის განმარტებით: „ასეთი განცხადება მით უფრო შეურაცხმყოფელია, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი და არ არსებობს ბუნებაში იმის ვარაუდი, სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება კანონიერია თუ უკანონო, ესა თუ ის პირი დამნაშავეა თუ უდანაშაულო.” განმცახდებლის განმარტებით: „ადვოკატი შეურაცხყოფს მთელ სასამართლო სისტემას, მისი თქმით „ზოგიერთი მოსამართლე გასაჭირის დროს პროკურატურის ფუნქციასაც ითავსებს და თავად ცდილობს განსასჯელთა ბრალეულობის დამტკიცებას. ყველა სიკეთესთან ერთად მოსამართლეთა არაობიექტურობის მიზეზი მათი არაპროფესიონალიზმიცაა”

აღნიშნულ საქმეზე ეთიკის კომისიამ ეთიკის კოდექსის 12.3 მუხლის საფუძველზე საჩივარი დააკმაყოფილა და აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატებზე, თუმცა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება განხილვის კოლეგიის მიერ გაუქმებულ იქნა. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა ქმედება ეთიკის კოდექსის 12.3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით არ იქნა დადასტურებული.

„კოლეგიამ არ გაიზიარა განმცხადებლის პოზიცია უდანაშაულობის პრეზუმფციის გავრცელების შესახებ, კოლეგიის განმარტებით უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება ბრალდებულებზე და არა სასამართლო გადაწყვეტილებებზე. სასამართლო სისტემა თავისთავად წარმოადგენს ხელისუფლების ერთ - ერთ რგოლს, რომელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში და რომელსაც მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო, განსაკუთრებული თმენის ვალდებულება გააჩნია საზოგადოების წევრების და მათ შორის ადვოკატების მიერ გამოთქული მოსაზრებების მიმართ.

საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცხყოფა, შეზღუდვას შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განზრახ არასწორი ცნობების გამოყენებით. ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, როგორც ეს მათივე განმარტებებიდან ირკვევა, მიმართული იყო არსებული სისტემის გაუმჯობესებისაკენ და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისაკენ, მათი მიზანი არ არის სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია, თუნდაც საჩივრის ავტორს მიაჩნდეს სხვაგვარად. ადვოკატების მიერ მათი პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოთქმული მოსაზრებები და ვარაუდი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს დისკრედიტაციას, თუკი არ არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი აზრი. სასამართლო სისტემასთან საქართველოს მოქალაქეთა ფართო მასებს, ისევე როგორც საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს და ორგანიზაციებს, სამი ადვოკატის მიერ გაკეთებული მოსაზრებით შეუძლებელია ჩამოუყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, თუკი სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული უფრო ფართო წრეები მიიჩნევენ, რომ მოსამართლეების კომპეტენცია და მათი მიკერძოებულობა არ დგას ეჭვის ქვეშ.

ადამიანის უფლებათა შორის, სიტყვისა და აზრის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი და წარუვალი უფლებაა. ამ უფლების გამოყენება კი სახელმწიფო ხელისუფლების და მით უფრო სასამართლო ხელისუფლების მხრიდან არ უნდა იყოს შეზღუდული, თუნდაც გამოთქმული სიტყვა ან აზრი გამაღიზიანებელი, დამაცირებელი და შეურაცხმყოფელი იყოს ხელისუფლების რომელიმე რგოლოსათვის. შესაბამისად, დაუშვებელია ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თუ იგი არ არღვევს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის კონკრეტულ დებულებას, მიჩნეული იქნეს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლად“.

„... სასამართლო ხელისუფლების უფლებებიამ შემთხვევაში არ შელახულა, ვინაიდან უფლების შელახვა და სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული სამი ადვოკატის მიერ, საგაზეთო სტატიით გაკეთებული გამონათქვამებით შესაძლებელი იქნებოდა მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება სასამართლოს შესახებ. საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს ფართო მასების მიერ და არა რამდენიმე პირის მიერ გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე."

„... სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციის შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე. ადვოკატი უნდა სარგებლობდს სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი იმუნიტეტით ყველა განცხადების მიმართ, რომელიც მის მიერ სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე წარდგენილია კეთილი განზრახვით, ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ აზრის, გამოხატვის, რწმენის, გაერთიანების და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან".

ეთიკის კომისია თავის გადაწყვეტილებაში ასევე დაეყრდნო თავად განცახდების ავტორის ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას „ძირითადი უფლებები" და მიიჩნია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის თემა საზოგადოების ყურადღების ქვეშ ექცევა და მისი ლეგიტიმური ინტერესის სფეროა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საქმე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს ან საჯარო პირს ეხება, წინასწარ უპირატესობა ენიჭება აზრის თავისუფლებას".

კომისიის აზრით „... ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი. მით უფრო, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადვოკატების გამონათქვამები, მათი განმარტებით მიმართულია არა სასამართღლოს დისკრედიტაციისაკენ, არამედ სისტემაში არსებული ვითარების გამოსწორებისაკენ.

გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული საგაზეთო სტატიაში მოცემული ციტატები და ადვოკატის გამონათვამები, რომლებიც კომისიის აზრით არ შეიცავდნენ არასწორ (ცრუ ინფორმაციას) მოსაზრებას მართლსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით, ამასთან, აღნიშნული ციტატები წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ მწვავე, მაგრამ მართლზომიერ კრიტიკას, რომლის მიზანი არ იყო სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაცია, არამედ მინიშნება სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზის შესახებ და ადვოკატთა სურვილი, კრიტიკით სააშკარაოზე გამოიტანონ ნაკლოვანებები, რათა ხელი შეეწყოს მათ აღმოფხვრას.

მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ ყურადღება გამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ: ა) სამი ადვოკატის გამონათვამი ვერ მოახდენს სასამართლოს დისკრედიტაციას და გავლენას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, ბ) სასამართლოს საქმიანობის მიმართ ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, მისი საქმიანობის მიმართ მართლზომიერი კრიტიკა, როგორც დემოკრატიის მაჩვენებელი, დასაშვებია ეთიკის ნორმების ფარგლებში, გ) გამონათქვამები არ იყო არაეთიკური, არასწორი ინფორმაციის შემცველი და შეურაცხმყოფელი.

აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს მიმართ კრიტიკა არ გასცდა ზნეობისა და ეთიკის ფარგლებს, ადვოკატებმა საგაზეთო სტატიაში განაზოგადეს მათ წარმოებაში არსებული საქმეები და შეფასება გაუკეთეს იმ ფაქტებს, რაც ამ საქმეების ირგვლივ იქნა დადგენილი. ამასთან, კრიტიკის მიზანი იყო არსებული სიტუაციის გამოსწორება და არა შეურაცხყოფა, ასევე საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილება სასამართლოს საქმიანობის შესახებ.